ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის.

ჩემთანა გიხაროდენ; რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული, ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ; უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ...

№ 23 და 24 — 1883-1890 — 1—30 დეკემბერს.


გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *гр. Квирилы, Въ редакцію „Микемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## უნებლიეთი ანგარიში.

წარსულს წელში ერთმა ექიმმა გვთხოვა ჩვენ, რომ ჩვენს გამოცემაში მისგან წარმოთქმული ლექციები დაგვებეჭდა. ჩვენ დავპირდით მას მისი სურვილის აღსრულებას იმ პირობით, თუ ეს ლექციები, ექიმობის სწავლაზე, სასარგებლო და საინტერესო იქმნებოდა ჩვენი მკითხველებისათვის. ბოლოს ამ ექიმმა გონორარზედ დაგვიწყო ლაპარაკი. მას ძლიერ გაუკვირდა, როდესაც ჩვენ გამოუცხადეთ, რომ ჩვენს რუსულ გამოცემას საშუალება არა აქვს მაგისთანა ლექციებში გონორარი მისცეს ვისმესთვის... ნუ თუ საშუალება არა აქვს თქვენს გამოცემას, როდესაც იგი სავალდებულო გამოცემაა 1800 შტატის ეკკლესიის კრებულთათვის?—გვითხრა მან. ამისთანა ახირებული კითხვები ზოგიერთ სხვა პირთაგანაც ბევრჯერ მოგვისმენია, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, რადგან ასეთი სასაცილო კითხვები ზოგიერთების უცოდინარობას და საქმის გაუგებლობას მივაწერეთ. ჩვენდა სამწუხაროდ ამისთანა შემცდარი აზრი «მწყემსი»-ს გამოცემის საშუალებაზედ და სიმდიდრეზედ, ჰქონებიათ არა მარტო ზოგიერთ პირთა, არამედ ამავე აზრისა ყოფილან «Нов. Обоз.»-ნიც და «ივერია». ამ გაზეთებმა საქვეყნოდ და დამტკიცებით გამოაცხადეს, რომ ჟურნალი «მწყემსი» სავალდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულოა ყველა ეკკლესიებ სათვის და მისი რედაქცია ამ გამოცემის საშვალებით მდიდრდებაო. ამისათვის საჭიროდ მივაჩნია მოკლე ანგარიში მივსცეთ ჩვენს მკითხველებს ჩვენს გამოცემათა შესახებ დღიდგან მათი დაარსებისა, რომ ამ ანგარიშით უსაფუძვლო აზრი ხარბ პირთა განქარწყლდეს.

მკითხველებმა კარგად იციან, რომ უწმიდესი და უმართებულესი სინოდის კურთხევით და ნება-დართვით დავიწყეთ ჩვენ ჟურნალის «მწყემსი»-ს გამოცემა 1883 წელში. ხსენებულს წელში ოკტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თთვეებში გამოვიდა სამი №-რი ჩვენი გამოცემისა. მიზანი და მიმართულება «მწყემსი»-სა ცხადათ იყო გარკვეული და გამოცხადებული უწმ. სინოდისაგან დამტკიცებულს პროგრამმაში. აქვე საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ ჩვენს თხოვნაში, რომელიც სინოდში წარდგინდა გაზეთის ნება-რთვის მიღებაზედ, განვაცხადეთ, რომ არა გვსურს ჩვენი გამოცემა სავალდებულოდ გაეხადათ ეკკლესიებისა და სამღვდელოები სათვის. 1883—1884 წლებში გამოდიოდა მარტო «მწყემსი» ქართულს ენაზედ. ამ წლებში, გარეშე ჩვენის თხოვნისა, მაშინდელმა ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პავლემ თავის ეპარქიაშიდ ნება მისცა მღვდლებს, რომელთაც თავის სიღარიბისა გამო არ შეეძლოთ «მწყემსი»-ს გამოწერა, ეკკლესიის ფულით გამოეწერათ და ამნაირად ესარგებლებიათ ქართული გამოცემით. მათის მეუფების ასეთმა განკარგულებამ ჩვენ ძლიერ გაგვაკვირვა. შემდეგ მოითხოვეს, რომ ქართული სტატიები რუსულად გვეთარგმნა განს ხალვილად და ყოველთვის ნების მისაღებად. ამან, ცოტა არ იყოს, საქმე დაგვიმძიმა... ბოლოს ზოგიერთ შურიან პირთა ბეზღებითი ეპისტოლეებმა იქამდის მიგვიყვანეს, რომ საუმჯობესოდ დავინახეთ რუსული გამოცემის დაარსება «მწყემსი» სავე სახელით და პროგრამმით. ამისათვის გამოვითხოვეთ ხელახლად ნება-რთვა და კიდეც გამოვეცით რუსული გამოცემა 1885 წლიდამ. თუმცა ერთის მხრით დიდ ხარჯს გვაძლევდა და დღესაც გვაძლევს რუსული გამოცემა, მაგრამ, მეორეს მხრით, მაბეზღართა და მოშურნეთა ენა ჩაიკმიდეს, რადგან მთავრობის და საზოგადოების გასაგებად იბეჭდებოდა ზოგიერთი საყურადღებო სტატიები თარგმნით ქართული გამოცემიდგან, და მთავრობა ცხადათ ხედავდა გამოცემის მიმართულებას. ამასთან რედაქციას ეძლევა საშვალება შეატყობინოს უმაღლესს მართებლობას ნამდვილი საჭიროებანი ჩვენი საზოგადოებისა და სამღვდელოებისა.

1886 წელში სასულიერო მთავრობამ, ვინაიდგან სხვა ეპარქიალური გამოცემა არ არსებობდა ჩვენში, ვალდებულად გაგვხადა ჩვენ გაგვეხსნა ოფიციალური განყოფილება, როგორც ქართულს ისე რუსულ გამოცემაში საბეჭდავად ადგილობითი სასულიერო მთავრობის განკარგულებათა, გვებეჭდა აგრეთვე თარგმნით სინოდის განკარგულებანი, რომელსაც გადმოგვცემდა სინოდალნი კანტორა და ექსარხოსი. დაგვავალეს აგრეთვე მცირე ფასად ბეჭდვა და დარიგება ღვთის-მშობლის სახელობაზედ დაარსებული ძმობის წიგნაკებისა. ზოგიერთი ეპარქიის ბლაღოჩინებს მისცეს წინადადება რიცხვისამებრ მათი საბლაღოჩინო ეკკლესიებისა წარმოედგინათ «მწყემსი»-ს რედაქციაში ხელმოსაწერი ფულები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მრავალს ადგილას ისე დამცირებულია ეკკლესიის შემოსავალი, რომ მიუცილებელ საჭირო ხარჯთა დაფარვისა მეტრიკებისა და აღსარებითი სიების გამოსაწერი ფულები ძლივს რჩება. «სულით და გულით თანაგიგრძნობთ, გვწერდენ ჩვენ მრავალნი, როგორც ბლაღოჩინები, ისე მღვდლები, მაგრამ რას იზამ, რომ ჩვენი ეკკლესიები ნამეტნავად დაღარიბებულნი არიან. სასწავლებლების სახლების აღსაშენებელმა და შესანახავმა ხარჯმა ძლიერ დააღარიბა ეკკლესიები და ბევრიც მძიმედ დაავალიანა». ჰკითხეთ ქართლის ეპარქიის ბლაღოჩინებს და სახელდობრ: ა. ზუმბულიძეს, ნ. დავიდოვს, ზ. ბძელიევს, ი. ქეზელს, ს. ბენაევს, ნ. მცხვეთაძეს, ი. ინიევს, ს. ქანდელაკს, დ. ბარნაბოვს და სხვათა, თუ რამდენს ეკზემპლიარს იწერენ ისინი «მწყემსს» თვითონ ან თავიანთ საბლაღოჩინო მღვდელთათვის. აი ამ ბლაღოჩინებს შეუძლიათ გასცონ პასუხი, თუ არ ისირცხვებენ, იმ მეშურნეთა და თვალხარბთა, რომელნიც ფიქრობენ, რომ „მწყემსი“ ყველა ეკკლესიებისათვის სავალდებულო გამოცემაა და რედაქციას დიდი ფული შემოუდისო. შეიძლება იკითხონ, რატომ ყველანი არ იწერენო. მიზეზი ბევრ ნაირია. სიღარიბე, როგორც ზემოდ ვსთქვით, ეკკლესიებისა და სამღვდელოებისა, დაუდევნელობა და უხალისობა კითხვისა და ცნობის-მოყვარეობისა. ზოგიერთი მართლა ისე გატაცებულია მარტო კუჭის მოთხოვნილებათაგან, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევს სულიერ საზრდოს. ჩვენ არ გვჯერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ზემოდ ჩამოთვლილ მიზეზებს დასძლიოს რომელიმე განკარგულებამ, ღარიბ ეკკლესიებს საშუალება აღმოუჩინოს და დაუდევარნი და კითხვის სიხალისის უმექონენი დღეს დღეობით ჟურნალის კითხვას მიაჩვიოს. კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ ყველა ჩვენი სამღვდელო პირნი კითხვას მიეჩვევა... მაგრამ ამას ვინ ძიობს? ჩვენი მეშურნენი და თვალხარბნი ასე არ ანგარიშობენ.

მათის გამოანგარიშებით მთელ საექსარხოსოში არის 1800 შტატის ეკკლესია: 1800×5=9000 მ.; რუსული გამოცემაც, მათის აზრით, შემოიტანს 2000 მანეთამდე. 9000+2000=11,000 მ. მორჩა და გათავდა! რატომ არ უნდა ისურვოს კაცმა ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემა?!

ჩვენი გამოცემის საქმე კი სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს. 1883 წელში ჩვენი გამოცემის მკითხველნი იყვნენ 120, 1884 წელში—450; 1885 წელშიდ—600; 1886 წელშიდ—650; 1887 წელშიდ—700; 1888 წელში—720; 1889 წელშიდ—800 და ამ 1890 წელში—960. ქართული გამოცემის შემოსავალი მშვენიერად დააკმაყოფილებს რედაქციის ხარჯს, მაგრამ რუსული გამოცემა, რომელიც 1000 მანეთზე მეტს ხარჯს ითხოვს, არ ჰფარავს ოთხას მანეთის ხარჯსაც და არ ჰფარავს იმიტომ, რომ ჩვენი სამღვდელოების უმეტესმა ნაწილმა ჯერეთ კიდევ რუსული არ იცის. ტყუილა თუ დაარიგებენ რუსულ გამოცემას ეკკლესიებში, მისი არ ვიცი, თორემ ათში ორი ვერ წაიკითხავს და ვერ ისარგებლებს, რაც უნდა კარგი გამოცემაც იყოს. რომ მივიღოთ სახეში, თუ 960 ეგზემპლიარ «მწყემსიდგან რამდენი მიდის ბლაღოჩინებს უფასოთ ეგზემპლიარები შეუძლებელ მღვდელთათვის წასაკითხავად და რამდენს ეგზავნება დაკლებულის ფასით, მაშინ ადვილად შეიტყობთ, თუ რა სიმდიდრე შემოდიოდა და შემოუდის რედაქციას «მწყემსი»-საგან. ვისაც ეჭვი აქვს, მობრძანდეს და გადახედოს ჩვენი ჟურნალები შესავალ-გასავლის ანგარიშებისა. ამასთან საჭიროდ ვრაცხთ დაუმატოთ, რომ მესამედი ნაწილი ჩვენი გამოცემის ხელის მომწერლებისა არის სამხედრო და საერო პირნი, რომელნიც დიდ თანაგრძნობას გვიჩენენ ხოლმე ყოველთვის ამ მძიმე საქმეში. მრავალნი სამღვდელო პირნი თავის ფულით იწერენ «მწყემსს», ვინაიდგან მათ ეკკლესიებს საშუალება არა აქვს....

ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ «საქართველოს სასულიერო მახარებლის» შვიდასი და რვაასი ხელის მომწერელი ჰყავდა უკანასკნელს დროს და ისიც იმ დროს, როდესაც სამღვდელოებას დაავალეს მისი გამოწერა ეკკლესიების ფულით. ეს ჟურნალი თთვეში ერთხელ გამოდიოდა და, ჩვენის აზრით, ამდენი ხელის მომწერლების წყალობით არ უნდა შემდგარიყო. ბოლო დროს, მართალია, ერთობ იკლო ხელის მომწერლების რიცხვმა, და ამიტომ სულ თავი დაანებეს ამ გაზეთის გამოცემას. რა მიზეზით? როგორც ამისი პასუხი ისე ამ ჟურნალის შინაარსის დაფასება საზოგადოების საქმეა. ჩვენ ამაზედ არასფერს არ ვიტყვით, რადგან დღესაც მრავალნი არიან ამ ჟურნალის მკითხველნი. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ცოტა მეტი გამჭრიახობა რომ ყოფილიყო და ცოტა მეტი ზრუნვა ჟურნალის სიცოცხლეზედ, მაშინ ისე მალე არ მოკლებოდა ბოლო «სასულიერო მახარებელს».

სანამ ჩვენს გამოცემას დავაარსებდით, მანამდისინაც კარგად ვიცოდით, თუ რა მძიმე შრომა და ნივთიერი ხარჯი მოითხოვებოდა ჩვენგან გამოცემისათვის. ჩვენ სრულებით ფიქრად არც გვქონია და არც გვაქვს, გამოცემის შემოსავლით ჩვენ გვესარგებლა. პირველ წლებში ჩვენგან დიდი ნივთიერი შეწირულება მოითხოვა გამოცემის საქმემ. ამას გარდა არც ერთს რედაქტორს სიზმრადაც არ დაესიზმრება ის უაჯაო შრომა და წვალება, რაც ჩვენ გადაგვხდა პირველი სამი—ოთხი წლის განმავალობაში. პირველად ჩვენ შეურიგდით ქუთაისში გამოცემის ბეჭდვას ერთ მესტამბეს. თუმცა მან პირველადვე გამოგვართვა კარგა ბლომად ფულები ასოების გამოსაწერად და სტამბის მოსაწყობად, მაგრამ თავ-თავის დროზე ნომრების გამოსვლას ვერ ველირსეთ ხოლმე. როდესაც სამი ფურცელი გამოდიოდა გამოცემა, მაშინ იძულებული ვიყავით, ნახევარი ნომერი გაზეთისა ქუთაისში დაგვებეჭდა და ნახევარი—თბილისში. ადვილი მოსახერხებელია ეს? არ არის საადვილო, მაგრამ ჩვენ მაინც ხელის მომწერლებს თავ-თავის დროზე უგზავნიდით ჩვენ გამოცემას. გაზეთის ბეჭდვას გარდა ჩვენ გვქონდა საბეჭდავად მრავალ გვარი წიგნაკები რელიგიური და ზნეობრივი შინაარსისა. ამათი ბეჭდვა ქუთაისში სრულებით შეუძლებელი შეიქმნა. ქუთაისში გვახლევინებდნენ ამ წიგნაკების საბეჭდავს ერთი ორად მეტს თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტამბეებზედ. ვინაიდგან სახეში გვქონდა ამისთანა წიგნაკების ოცი და ორმოცი ათასის ბეჭდვა, იძულებული შევიქენით საკუთარი სტამბა შეგვეძინა. ღვთის შეწევნით 1887 წელში ჩვენ შევიძინეთ სტამბა, რომელმაც არა მცირედი ხარჯი მოითხოვა ჩვენგან. სტამბის შეძენამ ნამეტნავად მოგვიწყო ხელი როგორც გამოცემათა ბეჭდვის საქმეში, აგრეთვე ოცი და ორმოცი ათასობით წიგნაკების ბეჭდვაში. 1888 წელში ერთი თვის განმავლობაში დაიბეჭდა რედაქციისაგან 7000 წიგნაკი და ყველა მუქთად დაურიგა ხალხს და ამ წლიდამ თითქმის ყოველ წელს იბეჭდება ორმოც-ორმოცი ათასი სხვა-და-სხვა გვარი წიგნაკები ხალხის საკითხავად.

ჩვენ ყოველივე ღონისძიება ვიხმარეთ, რომ ჩვენი გამოცემის პროგრამმა, რამდენათაც შესაძლებელი იყო, აღგვესრულებია. ნიადაგ სახეში გვქონდა და გვაქვს ჩვენი მკითხველების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ერთს მოსწონდა ერთი განყოფილების სტატიები, მეორეს—მეორესი, მესამეს—მესამესი; დიდი გამჭრიახობა მოითხოვებოდა, რომ ყველას მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა კაცს. რამდენათ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, ამას მკითხველები დააფასებენ...

წინა ხანებში ჩვენ საერო წოდების ზოგიერთმა მწერლებმა აღგვითქვეს თანამშრომლობა, რომელიც სასიამოვნოდ დაგვრჩა. მაგრამ, სამწუხაროდ, მალე დავრწმუნდით, რომ ამ პირების თანამშრომლობა ჩვენ არას გამოგვადგებოდა. ერთმა ამისთანა მწერალმა გამოგვიგზავნა ვრცელი სტატია საფრანგეთში ფრეისინეს მინისტრობიდამ გადაყენებაზე, მეორემ გააჭრელა პასუხი ბისმარკის პოლიტიკასა და მისს მიმართულებაზედ, მესამემ მოითხოვა, რომ შეუცვლელად დაგვებეჭდა ყველა მისი დაწერილი, რასაც კი ის ისურვებდა, მეოთხემ ისეთ საგანზე აღძრა კითხვა, რომ არცერთ გაზეთს იმისთანა საგნებზედ წერა არ შეუძლია. როგორც ამ ბატონებს, ისე სხვებსაც ჩვენ გამოუცხადეთ, რომ ერთხელვე ჩვენგან მიღებული პროგრამმის გარეშე წერა ჩვენს გამოცემაში არ შეიძლებოდა. სამწუხაროდ ჩვენი გამოცემის პროგრამმის თანახმად თანამშრომელნი ძლიერ ცოტანი იყვნენ. სწავლულნი პირნი ჩვენში დღეს მრავალნი არიან, მაგრამ სალიტერატურო ასპარეზზე ჩინებულნი კი ძლიერ მცირე. ნამეტნავი ყურადღება არის ღირსეული დამატებითი ჯამაგირების, საჩუქრების და ჯილდოების ძიებაზე...

ზარნა ვინც თვალყურს ადევნებდა და ადევნებს ჩვენს გამოცემას, მას კარგად ეცოდინება, რომ ჯერა მომხედველი თანამშრომლების უარარაობისა, ჩვენ ჩვენს გამოცემას გარდა ზნეობრივ სწავლა-დარიგებისა არ დაუტოვებია ჩვენი ცხოვრების არც ერთი კითხვა და არც ერთი დღიური ვარამი უყურადღებოდ. სიტყვა-მოძღვრების გავრცელება სამწყსოთა შორის, საუბრების გამართვა ხალხთან რელიგიურ და ზნეობრივ საგნებზედ, სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესობა, ბავშვების აღზრდა, სწავლის საქმე ჩვენი მხარის სასწავლებლებში, საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დანიშნულება და მათი გავრცელება ხალხში, ქართული ენის დავიწყების გამო და მეგრულ ენაზე ლიტერატურის აღდგინების შესახებ, სამღვდელოების კრებათა დანიშნულება და მათი დიდი ღვაწლი, ქრისტიანობის სარწმუნოების გავრცელების საქმე კავკასიაში და საქართველოში, ეკკლესიების გამშვენება, ქართული გალობის აღდგინება, მღვდლის მოვალეობა და სხვანი მრავალნი,—აი კითხვები, რომლების გამო ხშირად ყოფილა წერა «მწყემს»-ში. ამ ზემოხსენებულ ზოგიერთ კითხვებზედ ისე გაბედულათ სწერდა «მწყემსი», რომ დაბეჭდილის გადაბეჭდვაც ვერ გაბედეს ზოგიერთმა ჩვენმა, ესრეთ წოდებულმა, ადგილობითი ლიბერალურ გაზეთებმა. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, თუ რამდენად დაემსახურება სიმართლეს ჩვენი ნათქვამი და ამისათვის წერას ამ საგნის შესახებ აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მაღალ მართებლობას ხშირად შეუსმენია «მწყემსი»-ს მსჯელობა და მოუხდენია კიდეც სასურველი ჯეროვანი განკარგულება.

მართალია «ივერიის» და «Новое Обоз.» ზოგიერთ მწერლებს არ მოსწონთ ჩვენი გამოცემა და გვესაყვედურებიან, რადგან, მათის აზრით, დღიურ ვარამზედ არასფერს ვსწერდით. ღმერთმან გვაშოროს მათ ქება-დიდებას და მათ დღიურ ვარამზედ წერას! და რას შეადგენს მათი დღიური ვარამი და ზნეობრივი სწავლა?! აქ უნებლიეთ გვაგონდება ერთი გულშემატკივარი გრაფინია, რომლის ამბავს აქვე მოვიყვანთ. იყო ერთი სემინარიელი, მან ასჯერ მისცა თხოვნა მღვდელ-მთავარს, მაგრამ არ მისცეს მღვდელობის ადგილი. ეს სემინარიელი ერთხელ როგორღაც დაესწრო ერთი კაცისას ვახშამზედ, სადაც სხვა მრავალ სტუმართა შორის, ერთი გრაფინიაც იყო. ამ გრაფინიას

ძლიერ მოეწონა ამ სემინარიელის ცეკვა-თამაში, ქაღალდის თამაში, მუსიკა და მოცეკვართა «დირიჟორობა». გრაფინიამ გამოჰკითხა ვინაობა სემინარიელს და ძლიერ შეებრალა, რომ უადგილოთ იყო დარჩენილი. მეორე დღეს გრაფინია მიბრძანდა მღვდელ-მთავართან.

— თხოვნით გახლავართ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, მოახსენა მღვდელ-მთავარს.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? მიუგო მღვდელ-მთავარმა.

— თქვენს ეპარქიაში ყოფილა ერთი სემინარიელი უადგილოთ დარჩენილი, თუმცა მრავალ ჯერ უთხოვნია მღვდლის ადგილი, მაგრამ ყოველთვის უარი გამოუცხადებიათ. გთხოვთ მის კურთხევას და იმედი, მაქვს უარს არ მეტყვით.

— თქვენ იცნობთ ამ სემინარიელს კარგად? ჰკითხა მღვდელ-მთავარმა.

— მე გუშინ გავიცანი იგი N სახლში, მოახსენა გრაფინიამ. მშვენიერი ყმაწვილი გახლავსთ, ქალებთან თამაშობს ისე მშვენიერად, რომ მეტი აღარ შეიძლება, ამასთან კარგი მოცეკვართა «კამანდრობაც» სცოდნია. ბანქოს თამაში პირველი ყოფილა, პირველი მუზიკანტი ყოფილა და საოხუნჯო სიმღერებით სულ დაგვხოცა სიცილით. გთხოვთ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, აკურთხოთ იგი მღვდლად.

მღვდელ მთავარი დაფიქრდა და უთხრა: კარგი, გრაფინია, წაბრძანდით, თქვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დავსტოვებთ.

გრაფინია გახარებული შინ წაბრძანდა და ეს ამბავი სემინარიელს მიახარა.

ერთი კვირის შემდეგ საეპარქიო უწყებაში გამოვიდა ეპარქიის მთავრობის შემდეგი განკარგულება: N სემინარიელი (გრაფინიასაგან წარდგენილი და მოწონებული) ცუდი ყოფაქცევისათვის სრულებით დათხოვნილ იქმნეს სასულიერო უწყებიდამ და სხვ...»

ზოგიერთი ჩვენი მწერლების ქება-დიდება სამღვდელო პირების შესახებ სწორედ ამ გრაფინიას აზრის და შეხედულების მსგავსია. ღმერთმან ნუ ჰქნას, რომ ჩვენი გამოცემის ზოგიერთი აზრი დღიურ ვარამზე და ზნეობაზედ ამ მწერლების აზრის თანახმა შეიქმნეს!..

აი ამდგომარეობაში ვართ დღეს, საყვარელნო მკითხველნო! ყოველნი ჩვენი თანამოძმენი და მემამულენი, რომელთაც გული შესტკივა ჩვენი ხალხის ზნეობრივ და რელიგიურ განათლებისათვის, რომელნიც ცდილობენ პირნათლად და მტკიცეთ აღასრულონ თავიანთი დიდი მოვალეობა, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ერთად იშრომებენ და დაგვეხმარებიან ზოგნი ზნეობითად, ზოგნი თანაგრძნობით და ზოგნი სხვა-და-სხვა დახმარებით ამ დიდი საქმის და ძნელი ტვირთის ზიდვაში. ჩვენ ჩვენის მხრით არ დავაკლებთ მეცადინეობას «მწყემსი»-ს თან-და-თან გაუმჯობესობას და ყოველთვის გაუადვილებთ ამ გაზეთის გამოწერას ღარიბ ხელის-მომწერთა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ერთად თანამოაზრე წევრთა რიცხვი თან-და თან გამრავლდება და მათ გამრავლებას, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს მომავალი ეპარქიალური გამოცემა თბილისში «სასულიერო მოამბე საექსარხოსოისა».

**ორიოდე სიტყვა «საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მახარებელზედ».**

1873 წლიდამ თითქმის საქართველოის ყველა ექსარხოსები ცდილობდნენ, რომ როგორიმე გზით დაეარსებიათ საექსარხოსოშიდ საეპარქიო უწყებანი. მაგრამ როდესაც ხელის-მომწერლებზედ მიდგებოდა საქმე, ყველა მოფიქრება უქმდებოდა. 1873 წელში თბილისის სასულიერო სემინარიის სარევიზიოდ მოსულმა ბ. სერგეი ვასილისძემ კერსკიმ, დღეს უწმიდესი სინოდის კანცელარიის მმართველის თანაშემწემ ძლიერ მოინდომა საქართველოს საექსარხოსოშიდ რაიმე სასულიერო გამოცემის დაარსება. სინოდში ანგარიშის წარდგენის დროს ბ. კერსკიმ, სხვათა შორის, საჭიროდ დაინახა მოეხსენიებია უწმიდესი სინოდისათვის საქართველოს საექსარხოსოშიდ ეპარქიალური გამოცემის დაარსების საჭიროებაც; მაგრამ უწმიდესმა სინოდმა უდროვო დროდ დაინახა როგორც ხსენებული გამოცემის დაარსება რუსულს ენაზედ, ისე საეკკლესიო საბუთების რუსულს ენაზე წარმოება საექსარხოსოში მღვდელთაგან. ამ დროიდგან აღარაფერი თქმულა ხსენებული ჟურნალის გამოცემაზედ ჩვენშიდ.

მაღალ ყოვლად სამღვდელომ, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ საქართველოს სამწყსოშიდ მოსვლისათანავე მიაქცია ყურადღება ოფიციალური ეპარქიალური გამოცემის დაარსებას. პირველად ჩვენ მოგვეცა წინადადება გარ-

დავსულიყავით ქ. თბილისში და ჩვენი გამოცემა გადაგვეკეთებია ეპარქიალურ გამოცემად, მაგრამ სხვა და სხვა მოფიქრებათა გამო ჩვენ შეუძლებლად დავინახეთ როგორც ჩვენი გადასვლა თბილისში, ისე ჩვენი გამოცემის ეპარქიალურ გამოცემად გადაკეთება. ბევრს გასაკვირლად მიაჩნდა, რომ სოფელში მცხოვრებ მღვდელს პირველ ქალაქში გვაძლევდენ ადგილს და არ ვეთანხმებოდით...

1888 წელში, 19 თებერვალს მიეცა წინადადება ქართლის სამღვდელოების დეპუტატების კრებას ხსენებული ჟურნალის გამოცემის შესახებ თბილისის სემინარიის რექტორის რედაქტორობით. ამ დროს თბილისის სემინარიის ყოფილმა რექტორმა, არქიმანდრიტმა პაისიმ მოგვწერა ჩვენ, რომ ის მიიღებს ამ ახალი ჟურნალის რედაქტორობას იმ პირობით, თუმცა ჩვენ ვისურვებთ მასთან ერთად შრომას და მივიღებთ ამ ახალ გამოცემის საქმეში მონაწილეობას. ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვსაჯეთ, თუ როგორ უნდა გადაკეთებულიყო ჩვენი გამოცემა ეპარქიალურ გამოცემად, მაგრამ ვერ შევთანხმდით. მ. არქიმანდრიტი პაისი ჰფიქრობდა ჟურნალის გამოცემას საბეჭდავი ქაღალდის ორ-სამ ფურცელზედ, ორ კვირაში ერთხელ. ჟურნალი უნდა გამოცემულიყო რუსულს ენაზედ და ბოლოში ოთხი—ხუთი გვერდი ან ნაკლები უნდა ყოფილიყო ქართულად, ისიც რუსულიდგან ნათარგმნი ზოგიერთი საინტერესო სტატიები. ჩვენი სურვილი იყო, რომ ცალ—ცალკე გამოცემულიყო ჟურნალი როგორც რუსულს ენაზე, ისე ქართულზე. სამღვდელოების კრებაც დაგვპირდა ჩვენ ხელის მოსაწერი ფულის მომატებას, თუმცა ჩვენ გაზეთს გამოვცემდით თბილისში, მაგრამ ვერც სამღვდელოების სურვილს დავთანხმდით, რადგან მარტო რუსულ გამოცემაზედ ბევრი ხელის მომწერლების იმედი არ გვქონდა. ბოლოს სამღვდელოების კრებამ ერთხმად მიიღო ექსარხოსის წინადადება ჟურნალის გამოცემაზედ.

ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ დღემდის ვერ მოახერხეს თბილისის სემინარიაში რაიმე სალიტერატურო გამოცემის დაარსება. ნუ თუ ცოტანი არიან თბილისის სემინარიაში ნასწავლნი პირნი, რომელთაც ადვილად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჟურნალის გამოცემის საქმეში? ერთი სალიტერატურო გამოცემა სავალდებულოც რომ არ იყოს, იგი ნიადაგ იარსებებს, თუმცა გამოცემა საინტერესო და სახალისო საკითხავი იქმნება საზოგადოებისათვის. სავალდებულო გამოცემას, რა საკვირველია, ყოველთვის დიდი საშუალება ექმნება: ხელის მომწერთაგანაც რომ არ შემოვიდეს ფულები, საძნელო მოსახერხებელი არ იქნება, რომ სუბსიდია დაუნიშნონ გაზეთს და ამით მისცონ ღონე, რომ გაზეთმა ყოველთვის გასავალი დაფაროს.

გულით და სულით ვინატრით ახალი ჟურნალის კეთილ-დღეობას. სრული იმედი გვაქვს, რომ დამაარსებელი ამ გამოცემისა მათი მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი სიცოცხლეს მისცემს ამ გამოცემას და ამ ორგანის საშუალებით საქართველოს სამღვდელოებას გამოათქმევინებს მის გაჭირვებას და დალხინებას.

დეკ. დავით ღამბაშიძე.

## ახალი ეკკლესიების კურთხევა შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში.

(გაგრძელება *)

ნაშუადღევს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი წაბრძანდა სოფელს ქვალითს—დანიეთში. აქ მათი მეუფება შებრძანდა ეკკლესიაში, რომელიც მთლად ხალხით იყო სავსე. ეს ეკკლესია წინედ რიგიანად არ იყო შემკული, მაგრამ იგი დღეს შესაფერად არის შემკული მრევლის მღვდლის რ. გორგაძის მეცადინეობით. ყოვლად სამღვდელომ აქაც განუმარტა მსმენელთ დღის სახარების შინაარსი და შემდეგ მწყემსთ-მთავრული ლოცვა-კურთხევა და მადლობა გამოუცხადა მთელს სამრევლოს მათი ეკკლესიის რიგიანად შემკობისათვის. ამ ეკკლესიიდამ ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა კვალითის მესამე სოფელში. ამ სოფლის ახალს ეკკლესიაში მათმა მეუფებამ მოისმინა მწუხრი ღამის თევის ცისკრით. მეორე დღეს დილის 9 საათზედ ყოვლად სამღვდელომ დაიწყო ეკკლესიის კურთხევა. შემდეგ ეკკლესიის კურთხევი-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 21

სა დაწყებულ იქმნა წირვა. წირვაზე არქიერის მგალობლებს გარდა გალობდა მეორე გუნდი მგალობელთა, რომელიც შემდგარი იყო მრევლის გლეხთაგან. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო გამობრძანდა. ეკკლესიიდამ და სამხრეთის კარების კიბეზე დადგა და აქედამ წარმოსთქვა მშვენიერი და გრძნობით სავსე ქადაგება რიგის სახარებიდგან. ბოლოს მწყემს-მთავარმა დასძინა: „ამ ბოლო დროს, მადლობა ღმერთსა, ჩვენში გაიღვიძა სარწმუნოებამ; ყველგან სცდილობენ, რომ თავიანთი ძველი და შეუფერებელი ეკკლესიების მაგიერ აღაშენონ უმჯობესნი ტაძარნი და შეამკონ იგინი შესაფერისად. მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენ ასე გისახელებიათ თავი და ამისთანა მშვენიერი ეკკლესია აგიშენებიათ და შეგიმკვიათ. ამისთანა მშვენიერი ხის ეკკლესია არა თუ ამ მაზრაში, არამედ მთელს ჩემს ეპარქიაშიაც არსად არ არის. მადლობას და ჩემს ლოცვა-კურთხევას გიცხადებთ თქვენ, აღმაშენებელნო ამა ეკკლესიისა, ღმერთმან განაძლიეროს თქვენში ყოველი კეთილი საქმე და განამტკიცოს სარწმუნოება და კეთილ - ზნეობა“...

ჭეშმარიტად სასიამოვნო სანახავ სურათს წარმოადგენდა, როდესაც მწყემს-მთავარი მსმენელთ სწავლა-დარიგებას აძლევდა. დიდი ეზო ეკკლესიისა მთლად სავსე იყო ხალხით, ხეები ეკკლესიის გალავანს გარედ დაფარული იყო ახალგაზრდა ყმაწვილებით. ყოვლად სამღვდელოს სიტყვა ყველა მსმენელთ ესმოდა. მშვენიერი ამინდიც კი თანაუგრძნობდა ამ არაჩვეულებრივ დღესასწაულობას. ბოლოს მწყემსთმთავარმა აკურთხა ყველანი და წაბრძანდა გლეხის სოფრომაძისას, სადაც მათი მეუფებისათვის მომზადებული იყო სადილი. ახალი ეკკლესიის მრევლი ისე დღესასწაულობდა თავის ეკკლესიის კურთხევას, როგორც რომელიმე შესანიშნავ დღესასწაულს...

ამავე დღეს, 5 ნოემბერს, ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა სოფელს ცხრაწყაროს და ღამე გაათია გენერალ-მაიორის სპირიდონ ს. მაჭავარიანის სახლში. მეორე დღეს მათი მეუფება მიბრძანდა ცხრაწყაროს წმიდის გიორგის ეკკლესიაზედ, სადაც მრავალი ხალხი დახვდა შეკრებილი. აქაც მწყემსთმთავარმა განუმარტა მსმენელთ დღის შესაფერი სამოციქულო; შემდეგ დაათვალიერა ეკკლესია და საეკკლესიო საბუთები და წაბრძანდა ს. კლდეეთში. კლდეეთში ყოვლად სამღვდელო პირველად მიბრძანდა ეკკლესიაზედ და შემდეგ ჩვეულებრივი ქადაგებისა და სწავლა-მოძღვრებისა წაბრძანდა სამრევლო სკოლაში და საათ ნახევარზე მეტი ცდიდა სკოლის მოწაფეებს. აქვე გამოსცადა კინოთის საეკკლესიოსამრევლო სკოლის მოსწავლენი, რომელნიც მოეყვანა აქ მათ მასწავლებელს. ორ საათზე გათავდა შაგირდების გამოცდა. სამი საათის ნახევარზე მათმა მეუფებამ მიირთვა სადილი სკოლის ერთ პატარა ოთახში. ყველამ იცის და ყველას აკვირვებს ყოვლად სამღვდელოს უბრალო ხასიათი შესახებ სადილებისა და სასმელ-საჭმელის მიღებისა. თუ დიდმა კაცებმა მიიწვიეს, მათი მეუფება ისე მოიქცევა, რომ იტყვით, ამას მიპატიჟებას უბრალო კაცი ვერ გაუბედავსო, მაგრამ როდესაც ნახავთ მას უბრალო გლეხისას სადილზე, მაშინ თქვენი ოცნება ორკეცდება.

ნასადილევს კლდეეთიდამ მათი მეუფება გაემგზავრა ალავერდის ეკკლესიაზედ; აქაც მრავალი ხალხი დახვდა და მიეგება თავის საყვარელს მწყემსთმთავარს. შემდეგ ჩვეულებრივ ლიტიის შესრულებისა მღვდელ-მთავარმა სწავლა-დარიგება მისცა შეკრებილ ხალხს, შემდეგ დაათვალიერა ეკკლესია, საბუთები და გაემგზავრა სოფელს ფუთში. აქ ღამე გაათია ნ. თუთბერიძის სახლში.

დილის ათ საათზედ ყოვლად სამღვდელო მიბრძანდა ფუთის წმიდის გიორგის ეკკლესიაზედ. აქაც ბლომად დახვდა შეკრებილი მრევლი. ყოვლად სამღვდელომ შემდეგ ჩვეულებრივი ლიტიისა წარმოსთქვა მოძღვრება, რომლის თემად აიღო სახარების იგავი მდიდარზე და ლაზარეზე. ხალხი ძლიერ მოწიწებით ისმენდა მღვდელ-მთავრის მოძღვრებას და ზოგს ცრემლებიც მოსდიოდა თვალზედ, რადგან საგრძნობელი იყო ეს მოძღვრება. აქედამ მათი მეუფება წაბრძანდა ილემს. მოახსენეს მღვდელ-მთავარს გზის უვარგისობა და ეკკლესიაზედ მისვლის სიძნელე ცუდი ამინდის გამო. ილემში აგერ ოცი წელიწადი გადის, რაც ეკკლესიის შენობაზე ლაპარაკი არის აღძრული, მაგრამ სისრულეში ვერ მოსულა მრევლის სურვილი და განჩინება. ამისათვის ინება ყოვლად სამღვდელომ ამ სოფელში მისვლა და ნამდვილად საქმის შეტყობა და კიდეც წაბრძანდა.

## ხასიათის მნიშვნელობა კაცის ცხოვრებაში.

(მანტეგაციდამ).

აზელიოს ჭეშმარიტი აზრი.—ხასიათი ქვუაზე ძვირფასია.—უხასიათო კაცი—კაცი არაა.—გულკეთილობა და ძლიერება მუდამ თან ახლავს დიდს ხასიათს.—სიმამაცე და ზომიერი სიმკვირცხლე—ნიშანია ყოველის პატიოსანი ხასიათისა.—შეურყევლობა ზნეობისა არ გვართმევს თავისუფლებას.—მხნეობა დამშვიდებული ძალაა.—მალ-მალ გამოცვლა აზრებისა და მიართულებისა არ შეჰფერის მტკიცე ხასიათს.—მედგარი და მაგარი ხასიათი—დიდი ძალაა.

> ერის დამოუკიდებლობა არის ხასიათის სიმკვიდრის შედეგი.
>
> აზელიო.
>
> შეიძლება, როდისმე ჩვენი ხასიათი გაუტოლდეს ჩვენს გენიოსობას.
>
> სტალი.
>
> კიდეც რომ არ ვადგე სწორ გზას პატიოსან მიდრეკილების ძალით, მე მაინც ამ გზას დავადგებოდი იმ გამოცდილების გამო, რომელმაც დამარწმუნა, რომ ეს გზა ყოველ გზაზე უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა.
>
> მონტენი.
>
> არც კაცურს და არც სხვა რამ ძალას არ შეუძლია ბოროტი ათქმევინოს მას, ვინც პატიოსნად ჰსცხოვრებს სამშობლოს საკეთილდღეოდ და საკუთარის დიდებისათვის.
>
> ფოსკოლო.

საფრანგეთის ერთმა უდიდეს მწერალთაგანმა, შატობრიანემ, სთქვა: «თავისუფალნი კიდევ არ არიან ის კაცები, რომლებიც მხოლოდ უწოდებენ თავისთავს თავისუფალს; თავისუფლობის შენობას პირველ ქვა კეთხედათ—სათნოება უნდა ედოს». ამით შატობრიანს ახალი არა უთქვამს რა, დიდი ხნით მასზედ ადრე წარმოსთქვეს იგივე აზრი მონტენმა, სოკრატმა, ლიკურგმა, კონფუციომ, და მრავალმა სხვამ. იმათ ყველამ ეს დიდი ჭეშმარიტება, რომელიც წარუხოცელის ასოებით უნდა ჩაიწეროს გონებაში ყოველმა კაცმა, ამოიკითხეს ერთისა და იგივე წიგნიდგან—ეს წიგნი გახლავსთ კაცის გული.

რა არის კაცი, ხასიათს მოკლებული? რა არის თვით გენიოსიც უხასიათოდ? გენიოსი თავისთავად—მხოლოდ საოცარი მექანიზმია, რომელიც იკვლევს, აკავშირებს ერთს მეორესთან აზრებს და მოსაზრებათა; იგი მაინც მექანიზმათვე რჩება.

ჩვენ მას ვეცქერით ცნობის მოყვარეობით და ის ისე გვიკვირს, როგორც ინგლისური ქრონომეტრი—მაგრამ როცა დიდი ხასიათის კაცს შევხვდებით, მარტო ცნობის მოყვარეობას და გაკვირვებას არა ვგრძნობთ მისდამი, ჩვენში რაღაც უფრო ღრმა გრძნობა იძვრის და გული მაშინ უფრო ძლიერ გვიცემს, როდესაც კეთილშობილიურს და გმირულ რამ საქციელს ვხედავთ.

ჩვენ გვაკვირვებს ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი, მარენგოს კედლებთან მეომარი, ი უ ლ ი ო ს კ ე ი ს ა რ ი გალლიის დაპყრობის დროს; მაგრამ ის, ვინც სამშობლოს იხსნის და თავის სიცოცხლეს სწირავს მას, არა თუ ჰბადავს ჩვენში გაკვირვებას, არამედ სიყვარულსაც; მოზღვავებული გრძნობის გამო ცრემლები გვივსებს თვალებს, როდესაც ჩვენ გვაგონდება ლ უ კ რ ე ც ი ა, რომელმაც სირცხვილს სიკვდილი ამჯობინა. ს ო კ რ ა ტ ი, რომელიც ღიმილით სვამს საწამლავს, გაცილებით მაღლა სდგას იმავე სოკრატზე, როცა ის ფილოსოფიურ ლექციებს ჰკითხულობს; გუთნის დედა ც ი ნ ც ი ნ ა ტ ი, რომელიც არ თაკილობს მიწის ხვნას, მაღლა სდგას იმავე რჯულის მდაბლად გამხდარს ცინცინატზე.

ჭკუა—უდიდესი და უკეთილშობილესი ნაწილია კაცისა; ნიჭი ალმასია, რომელიც უბრწყინავს შუბლზედ პრომეთეის შვილს,—ხასიათიკი—მთლად კაცია, სრული და რთული გამოხატულებაა ყველა მისი ძალების, ჩვეულებათა და მიხრა—მოხრათა. აი ამიტომ კაცში ჯერ ეძებენ სულს და მერე ჭკუას; აი ამიტომ სოკრატი მაღლა სდგას პლატონზედ, გალილეიზედ, ბეკონზედ; აი ამიტომ გარიბალდი უფრო დიდებულია, ვინემ ნაპოლეონი.

ჭკუა—მექანიზმია, რომლის ბადალიც სხვა არა არის რა: იმას აქვს თავისი განსაზღრული-

დანიშნულება, თავისი სამუშავო. მაგრამ მას აძლევს კარგს თუ ცუდს ზნეობრივ სახეს მიზანი, რომელსაც ის ესწრაფის, გრძნობა, რომლითაც ის ხორცშესხმულია და გამსჭვალული. ჭკუისთვის სულ ერთია—სთხზავს ის ზნეობის აღმადგენელს, თუ დამამხობელს წიგნს, შველის განთავისუფლებას თუ დამონებას ხალხისას, ამაღლებას თუ დამცირებას ერისას, აღმოჩენას ახალი ქვეყნისას თუ მოგონებას მკვლელი იარაღისას, ამართლებს თუ ჰკიცხავს მონობას. როდესაც თქვენ გენიოსზედ დაგიწყებენ ლაპარაკს, მაშინვე ჰკითხულობთ: როგორი ხასიათისაა იგი? სანამ დანით გასჭრიდეთ, თქვენ გინდათ გაიგოთ, რომელია მჭრელი პირი; თქვენ გინდათ იცოდეთ რომელიმე ძალა შველის თუ ხელს უშლის ნადაგის შემუშავებას, რასავრცელებდა იგი საზოგადოებაში—თანასწორებას და სიმართლეს თუ უმეცრებას და სიბნელეს. თქვენ გსურთ იცოდეთ ყველაფერი ეს, და პირველი თქვენი კითხვა ყოველთვის ხასიათს შეეხება,—ეს იმას ჰგავს, თოფი რომ მოგცენ ხელში, სანამ გაიგებდეთ ფრანგულია, ინგლისური თუ იტალიური იგი, სანამ შეიტყობდეთ, რომელი ტყვიით იტენება,—ჯერ ამას ჰკითხულობთ: გატენილია იგი თუ არა? ხასიათი—ეს არის, ასე ვსთქვათ, ატესტატი დამამტკიცებელი იმისი, რომ ესა და ეს კაცი არ არის უბრალო პირუტყვი, რომელიც სჭამს რაც კი მოხვდება, სვამს რაც მოაგონდება და სძინავს ერთნაირის მოსვენებით, როგორც თავის ეგრეთვე სხვის ლოგინში, არამედ არის საზოგადოებრივი არსება, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი უფლებანი და მათი დაცვის საჭიროებაც; შეგნებული აქვს თავის მოვალეობანიც და მათი აღსრულების მიუცილებლობა; ეს არის არსება, რომელთანაც შეგიძლია იცხოვრო მოსვენებით, უშიშრად და უეჭვოდ.

კაცი რომ გონიერი და საზოგადოებრივი არსება არ იყოს, ხასიათი მისთვის მეტი რამ სამკაული იქმნებოდა; მაგრამ დღეს ხასიათი მისთვის აუცილებლად საჭიროა ცხოვრებაში. კაცი არც ვეფხვია, არც ვეშაპი: მისი სხეულის ძალა—ყველაზე უმცირესია მის ღირსებათაგან. ესევე აზრი გამოსთქვა სისმონდიმ: «კაცის ძლიერებას შეადგენს ზნეობრივი ძალა და არა სხეულებრივი. სხეული კი არა, ჭკუა აძლევს მას ძალას თავის მოგერებისა და გამარჯვებისათვის. სული და არა ხორცი შეიცავს ნების ძალას, მხნეობას, თავმდაბლობას, მოთმინებას, თავდადებას». როდესაც თქვენ სდგეხართ ლომის ყაფაზის წინ, ყველაზე უწინ ეს გინდათ იცოდეთ: მაგრათაა ყაფაზა დაკეტილი თუ არა? უცნობ კაცს რომ შეხვდებით, მაშინვე ეკითხებით თავის თავს: რა ხასიათის უნდა იყოს ის? ე. ი. თქვენ გინდათ შეიტყოთ კ ა ც ი ა ის თუ არა?

უხასიათო კაცი—კაცი არაა; ის რასაკვირველია ორ ფეხი არსებაა, შექმნილი როგორც სხვანი მისი მსგავსნი, მაგრამ უხასიათობის გამო მას არ შეუძლია სხვებთან იცხოვროს დაუსჯელად. უხასიათო კაცს აგდებენ საპყრობილეში, უფრო ხშირად კი ყველა ზიზღით უყურებენ მასზედ საზოგადოებაში. იგი მყრალი ცხოველია და მიტომაც ყველა ცხვირს უბზუებს მას. კანონით დასჯას ხშირად თავიდამ იცილებენ ესეთი კაცები; მაგრამ კანონზე ძლიერი საზოგადოების აზრია—იგი ამხილებს, სდაღავს და ითვალწუნებს მათ; ისინი ნამდვილი ხორცმეტია საზოგადოებისა. უხასიათო კაცი, როგორც ვსთქვით, კაცი არაა; იგი მით უფრო საშიშარია, რომ კაცებში სცხოვრებს და ეს ნაკლულევანება თავისთავად არაა საკმაო საბუთი მის დასაპატიმრებლად. იგი ყოველის მხრით ჰგავს მთელი სიცოცხლით დასჯილს კაცს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს მუდამ დარაჯობს მართლმსაჯულების თვალი; ის კი დაბრძანდება თავისუფლად და არც არავინ ანგარიშს არ სთხოვს მას.

როცა უხასიათო კაცს ელაპარაკებით, ყოველთვის უნდა ელოდეთ, რომ ის ტყვილს გეტყვისთ; როდესაც ის გელაპარაკებათ თავის დედა აზრებზედ, დარწმუნებული იყავით, რომ ეს დედა აზრები მისი რომდია და ხვალ უსათუოდ იგი უღალატებს მათ. თუ პირობით ეკვრით მათ რაშიმე, წინადვე იცოდეთ, რომ თვითონ ლომის კერძს ირგუნებს. თუ რამე საიდუმლო გაანდვეთ მას, შიშით იმ ღამეს არ დაგეძინებათ იმის გამო, რომ იგი მეორე დღესვე მთელს ქალაქს მოსდებს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი თუ გყავს ანუ ქალიშვილი, თქვენ გეშინიათ, რომ ამ კაცმა არ გაგიპატიუროს ოჯახი. რომელ კაცთა გუნდს უნდა ვაკუთვნოთ ის კაცი, რომელსაც ყოველთვის უნდა უყურო უნდობის თვალით, შიშით, ეჭვით, რომელსაც ვერ ანდობ ვერც სიტყვას, ვერც ფულს, ვერც ნამუსს? თუმცა ესეთი არსება დედა კაცის შობილია და კაცის სახელს ატარებს, მაგრამ ის მაინც ბუნების დღენაკლული შვილია. ესეთი კაცი კიდეც რომ გადაურჩეს ბრალდებულთა სკამს, ან საპყრობილეს,—პატიოსანი კაცების საზოგადოება მაინც თავის თავად განაძევებს მას თავის წრიდგან.

უხასიათო კაცების უმეტესობა თავისუფლად სცხოვრებს, და უფრო ბევრს მათგანს შეხვდებით ქუჩაზედ, ვინემ საპატიმროებში. ქურდობაში ზოგჯერ ვხედავთ დიდს გამბედაობას და სიმამაცეს და დანაშაულში მოსჩანს უფრო ხშირად ძალა ვნებისა და დიდი სისასტიკისა. საბედნიეროდ ამისთანა ამბები იშვიათია. მაგრამ მეგობარს რომ ათი, ასი მანეთი დასტყუო სესხად და აღარ დაუბრუნო მას, ამისათვის არ ითხოვება არც გაბედულობა, არც სისასტიკე, არც სიმარჯვე, არც ვნება; საჭიროა იყო მხოლოდ უსირცხვილო და ოსტატი მსხვერპლის ამორჩევაში; შემდეგ კი თვალს უნდა გიჭრიდეს, რომ სადაც შეხვდე, გვ:რდი აუარო მას. აგრეთვე თერძს ან მეწაღეს რომ ფული აღარ მისცე, ამისათვ:ს მხოლოდ ერთი სიმარჯვე გინდა,—როგორმე დააჯერო ისინი, რომ შენ სხვაგან ხარ, თუმცა შინ კი ბრძანდები. ეს ხომ უბრალო სიცრუეა (თითქო შეიძლებოდეს უბრალო სიცრუეც). მოსამსახურე თუ გამგონე გყავთ—მეტი რაღა გინდათ!..

იოსებ ბზვანელი.

(შემდეგი იქნება).

## ბ. ილია ხონელს (ბახტაძეს).

«მწყემს»-ში დაბეჭდილ ჩვენს მწარე ფიქრებს გასცა პასუხი ბ. ილია ხონელმა. ამ მწარე ფიქრებზედ თუმცა არავის არ ჰქონებია ხელი მოწერილი, მაგრამ ბ. ხონელმა მაინც საჭიროდ დაინახა, მწერლობაში შემოღებული წესის წინაალმდეგ, ხსენებული სტატიის დამწერის ვინაობის გამოქვეყნება, და ამიტომ ჩვენც საჭიროდ დავინახეთ ბ. ხონელის გვარის გამოცხადება.

ამ მწარე ფიქრებში ჩვენ გამოვსთქვით, რომ ილია ხონელმა სრულებით არ იცის საქმის ვითარება, სიმართლე მას ერთ კიტრად უღირს და იგი, გატაცებული რაღაცა პიროვნული ანგარიშებით, ყმედობს უსაფუძვლოდ, უსაბუთოდ და უმართლოდ-თქო. ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეთხოვა და თავისი ცრუპენტელაობა გაესწორებია, ის მომდგარა და ერთიორად მეტად ცრუობს. ყოველს მის სიტყვაში აშკარად კაშკაშებს ბეზღობა, ინსინუაცია, მდაბალი ცილისწამება და რაღაცა გამცემლობა...

«ოფიციალური ცნობები, ამბობს ხონელი, თუმცა იბეჭდებოდა ხოლმე „მწყემს“-ში, მაგრამ ძალიან ცოტა, ის არ კმაროდა, რასაც ბეჭდავდა «მწყემსი» ან სემინარიაზედ და ან ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებაზედო. საჭირო იყო სინოდის მშვენიერი ოფიციალური ჟურნალის «Церковный Вѣстникъ»-იდამ ოფიციალური ცნობების გადმობეჭდვაო. (ხონელმა ჯერეთ ისიც არ იცის, რომ «Церковный Вѣстникъ»-ი უწმ. სინოდის ოფიციალური ჟურნალი არ არის). ერთი ჰკითხეთ ბ. ხონელს, თუ რომელი განკარგულება იყო სინოდის გამოცემაში, ან «Церковный Вѣстникъ»-ში, რომელიც ჩვენი სამღვდელოებისათვის საინტერესო იყო და ჩვენ არ გადმოვბეჭდეთ?..

რამოდენიმე ბუქნის და ყირამალაზედ გადასვლის შემდეგ ბ. ილია მოჰყვება ბეზღობას: «რა დავაშავეთ ჩვენ ლამბაშიძის წინაალმდეგ. ჩვენ დიდის სიხარულით შევეგებეთ მომავალს «სასულიერო მახარებელს», რომელიც მარტში უნდა გამოვიდეს, და მხოლოდ ვსთქვით, რომ ეს გამოცემა უკეთესი და სამღვდელოებისათვის უფრო სასარგებლო იქმნებაო». ვინ რა უთხრა ბ. ილიას ამისათვის? ჩვენც მხოლოდ ისა ვსთქვით, იმის გამოისობით, რომ ეს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი გაზეთი კარგი იქმნება, აქედამ ის დასკვნა არ შეიძლება კაცმა გამოიყვანოს, რომ ჩვენი ჟურნალიც და ჩვენც ცუდნი ვართ...

შემდეგ ხონელი ბრძანებს: «მწყემსი»-ს რედაქტორი დეკ. ღამბაშიძე თავის გამოცემაში ნიადაგ თავის ქადაგებას და მოძღვრებას ბეჭდავდა, მაგრამ ყველა ეს მოძღვრებანი და ქადაგებანი სხვისი ქადაგებათა და მოძღვრებათაგან არიან ამოგლეჯილნი და მ. ღამბაშიძეს არ ეკუთვნიან». ხონელი ფიქრობს: რადგან დეკ ღამბაშიძე არის «მწყემსი»-ს რედაქტორი, ალბად ის თავის ქადაგებას და მოძღვრებას დაბეჭდავდა გაზეთში. მოდი, ვიტყვი, ფიქრობს ხონელი, რომ ის ქადაგებანი სხვა ქადაგებათაგან არიან ამოღებულნი და მოპარულნიო. როგორ მოსტყუვდა საწყალი ხონელი?!. ჩვენ თუმცა მრავალი ქადაგება და მოძღვრება წარმოგვითქვამს, მაგრამ ჩვენს გამოცემაში არ გვიბეჭდავს. ამისთანა აშკარა ტყუილის თქმა შეუძლია იმ კაცს, რომელსაც სვინიდისზედ ხელი აუღია და აღარაფრის არ რცხვენია. შემდეგ განაგრძობს ბ. ხონელი: «ქადაგებათა და მოძღვრებათა გარდა რაც შესანიშნავი სტატიები არის დაბეჭდილი «მწყემს»-ში, ყველა ისინი დაბეჭდილი იყო 1850 წელში დეკ. გიორგი ხელიძისაგან და მის კალამს ეკუთვნის»... ამაზედ მეტი დაბრმავება იქნება კაცის? ამაზედ მეტი უნამუსო წერა და ცილისწამება შეიძლება კაცისაგან? ამ ნომერშივე დაბეჭდილი ჩვენი უნებლიეთი ანგარიშიდგან ჟურნალი, «მწყემსი»-ს შესახებ, მკითხველი ცხადად დაინახავს, თუ რა და რა კითხვებზედ იყო აღძრული სჯა და წერა ჩვენს გამოცემაში. დეკ. გ. ხელიძე წინასწარმეტყველი უნდა ყოფილიყო, რომ იმისთანა საგნების შესახებ აღეძრა კითხვა 1850 წლებში, რომლებზედაც ჩვენ 1883/90 წლებში ვსწერდით. ვის შეეძლო 1850 წლებში ეთქვა რამე სამრევლო სკოლების შესახებ, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაზე, კლასიკურ ენებზე, და ახლანდელს დროის სხვა და სხვა მრავალ კითხვებზე? სრულებით არავის. ჰკითხეთ ხონელს, თუ რომელ გამოცემებში ბეჭდავდა მ. ხელიძე ამ სტატიებს და ან თვითონ მ. ხელიძე სად იყო 1850 წლებში?

ილია ხონელი ამტკიცებს, რომ «მწყემსი» სრულებით არასფერს არ აცნობებდა საზოგადოებას ერთად ერთ სემინარიაზედაო. აი კიდევ აშკარა სიცრუე ილია ხონელისა. ილია ხონელი ხშირად ბეჭდავდა «Новое обоз»-ში «მწემსი»-დამ სხვა-და-სხვა ცრობებს და რა აიძულებს ამ კაცს ამისთანა სიცრუის წერას, კიდევ ვერ გაგვიგია!..

ილია ხონელი ამბობს: მღვდელს შეშვენის, მარტო წარმოთქვამდეს: **გვაკურთხენ მამაო** და ღამბაშიძე მომდგარა და ჩვენზედ ბევრ უკადრის სიტყვებს სწერსო. ილია ხონელის სიტყვები ერთი ფრანცუზის საქციელს მომაგონებს. ერთი ფრანგის პატრი თურმე პარიჟში მდინარე სენის ხიდზე იყო დამდგარი და აქეთ-იქით იყურებოდა. ერთმა ფრანცუზმა მოინდომა პატრის გამოცდა, ვნახოთ აბა, როგორ აასრულებს სახარების სიტყვებს პატრი: «ერთ ყბაში რომ შემოგკრან, მეორე მიუშვირე». მიუახლოვდა ეს ფრანცუზი პატრს და ლეწა ყბაში. პატრმა ნაცვლად მეორე ყბის მიშვერისა, სამი შენი მოწონებული სილა უთავაზა პასუხათ. ფრანცუზს გული მოუვიდა და აყვედრა პატრს სახარების სიტყვების აღუსრულებლობა. პატრმა მიუგო პასუხათ: არსად არ გიწერიათ სახარებაში, რომ თქვენს მოძღვრებს ყბები დაამტვრიეთო. ილია ხონელი დაიმედებულია იმაზედ, რომ მღვდლებს პასუხის გაცემა არ შეუძლიათ, გამომდგარა და ასე უაჯაოდ ილანძღება და ითხოვს, რომ მის ლანძღვაზედ ჩვენ კრძალვით მივიდეთ მასთან და მოვახსენოთ: **გვაკურთხენ, მამაო ილია!**

ამდენი ცრუპენტელობის შემდეგ ბ. ხონელი სწერს: «დეკ. ღამბაშიძეს არავითარი გავლენა არა აქვს საზოგადოებაზე, ამისათვის არც მის გამოცემას არავითარი სამსახურის გაწევა არ შეუძლია». რამდენიც უნდა ჯღაბნოს ბ. ილია ხონელმა, მას არასოდეს არ შეუძლია შეარყიოს და დაამციროს ჩვენი საქმის წმიდა დანიშნულება და მაღალი მიზანი; არ შეუძლია მას აგრეთვე ვინმე დაარწმუნოს, რომ ჩვენი სახელი და გავლენა ჩვენი გამოცემის მკითხველებზედ ღირსი არ იყოს ამ უკანასკნელთა გულწრფელი მადლობისა და პატივის ცემისა. რომ ეს ასეა, ამას ცხადათ ამტკიცებენ სასულიერო და საერო პირთაგან მოწერილი ურიცხვი წერილები, რომლებშიდაც გამოთქმულია ესრეთი გულწრფელი მადლობა და დაფასება ჩვენი საზოგადო საქმისა.

თუ ჩვენ რამე საზოგადო საქმე დაგვიწყია და ამ საქმისათვის მოგვიწვევია საზოგადოება, თუ სადმე შეკრებილებაში რაიმე აზრი წარმოთქმულა ჩვენგან საზოგადო საქმის შესახებ, — ჩვენდა სასიხარულოდ, ყოველთვის და ყველასაგან, ყოველი წოდების, განათლების და მდგომარეობის პირთაგან, სრული

თანაგრძნობა მიგვილია. რას ამტკიცებს ყოველივე ეს, ბ. ხონელო? ეს ასეა, მაგრამ ჩვენ კი ვიცით ზოგიერთი პირები, რომლებიც დიდ გავლენიან პირებად რაცხვენ თავიანთ თავს საზოგადოებაში, მაგრამ, როცა რამე აზრის და სურვილის გატარება დასჭირდებათ მასში (საზოგადოებაში), ცხრა მთას იქით მირბიან და იმალებიან!..

ახლა ნება გვიბოძეთ, ბ. ხონელო, თქვენ გკითხოთ, თუ ვინა ბრძანდებით და ან რა გავლენა და მნიშვნელობა გაქვსთ საზოგადოებაში?

თქვენ ის ილია ხომ არ ბრძანდებით, რომელიც გიმნაზიის ერთი დაბალი კლასიდამ დაითხოვეს და შემდეგ პეტერბურღში ორი წელიწადი «სტრეკოზის» კითხვის მეტი საქმისათვის ხელი არ მოუკიდნია, ბოლოს «პანსნე» გაიკეთა ცხვირზე და «სტრეკოზის» ფრაზებით აღჭურვილი ჩამობრძანდა სამშობლოში და ლიტერატორობა დაიწყო? თუ ის ილია ბრძანდებით, ძლიერ ვსწუხვართ, რომ ამდენი ვილაპარაკეთ და გთხოვთ მამაშვილურად, რომ წერის დროს სინიდისი და სიმართლე გახსოვდესთ. ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ მოძღვრების ლანძღვა-გინება ჩვენში ჩვეულებათ არავის აქვს... ნურც იმით დაიმედდებით, რომ მოძღვრებს თქმის ნება არა აქვსთ და ამისათვის მათი ლანძღვა, ვითომ, ყველას შეუძლია.

---

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნა.

(იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი უმაწვილებისათვის დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ).

ყოველ გვარ მწერლობაში საყმაწვილო მწერლობა უფრო ძნელია. საყმაწვილო მწერლობას დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე ეჭირვება. მოთხრობების წერა ჯერ საზოგადოდ და განსაკუთრებით უმაწვილების გონება განვითარების შეთანხმებით ერთს უძნელეს და არა ყველასათვის მისაწვდომს ღირსებას შეადგენს. აქ თვითეულს სიტყვას, თვითეულს აზრს და მიმართულებას, როგორც გზის ჩვენება გახსნა და განვითარება შეუძლია, აგრეთვე სრულიად დამახინჯება, გარყვნა და გაოხრებაც შეუძლია მისი მსმენელი უმაწვილისა.

თითქმის ყველასთვის გასაგები ჭეშმარიტებაა, რომ წიგნი უმაწვილის გონებითი საზრდოს მძლეველია. ეს საზრდო შემდეგ ძვალსა და რბილში უჯდება უმაწვილს და ნუ თუ ფრთხილად და სასტიკ დაკვირვებით არ უნდა იყოს ამ გვარი საზრდოს მძლეველი, რომ საუკუნოთ გონება არ დაუჩლუნგოს და სიცოცხლე არ მოუშხამოს. მწერლის ზნეობითი ვალია ეს საზრდო, რაც შეიძლება, წმიდად, ფაქიზათ და ყოვლადგვარ საკაზმეულობით შეზავებული მიაწოდოს თავის აღსაზრდელს.

ერთი ამ გვარ გონებითი საზრდოს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული პედაგოგ-ლიტერატორის იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“, რომლითაც ახალი წელიწადი მიულოცნია ჩვენ მოზრდილი უმაწვილებისათვის. ეს პატარა ამბავი ავტორს წიგნაკად გამოუცია, შემკობილია და გვარად, სუფთად და ფაქიზად. შინაარსი მარტივი და ადვილი გასაგებია, რომ უფრო მარტივის ფრაზებით ადვილი და უმაწვილურის ენით იყოს დაწერილი. შინაარსი ამ პატარა წიგნაკისა მდგომარეობს იმაში, რომ კახეთის ერთს სოფ. ვაშლოვანში სცხოვრებდა თავადი ზურაბ ქართველაძე, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრით და პურადობით. ცოლად მასს ჰყავნდა ქართლიდგან მოყვანილი ქალი მაგდანი. ყოველ გვარ ღირსებასთან, რომლითაც მაგდანი შემკული იყო, ერთი ღირსება უფრო ავსებდა და სახელს უდიდებდა მას. მაგდანს მშვენიერი ხმა ჰქონდა და თავისი მშვენიერი სიმღერით განთქმული იყო მთელს იმ მხარეში. მისი ხმა უცნაურად ააჟრჟოლებდა, ააკანკალებდა და დაუვიწყარ შთაბეჭდილების კვალს აჩენდა ყოველს მსმენელზედ.

ზურაბი და მაგდანი სულ ხუთი—ექვსი წლის ჯვარ დაწერილნი იყვნენ. შვილად ჰყავდათ ერთად ერთი ქალი—ქეთო, რომელიც მესამე წელიწადში იდგა.

მეტად საყვარელი ბავშვი იყო ქეთო. ამასთან საშინლად უყვარდა მას დედის სიმღერა და ხშირადაც ამღერებდა ხოლმე. დედმამას საშინლად უყვარდათ პატარა ქეთო.

ამ სოფელში დაიარებოდა კაი ხნიდგან სავაჭროდ ორი ბაჯაჯგუნა ლეკი. ეს ორი ლეკი მოიტაცეს პატარა ქეთოს და დაღესტანში ერთს მდიდარს უშვილო

ივერიელი

ნაიბს მიჰყიდის. ქეთოს დედმამა გულგამსკდარნი და შეწუხებულნი ეძებენ თავიანთ უკანასკნელ იმედს, თავიანთ სულს და გულს — პატარა ქეთოს, მაგრამ სულ ამაოდ: რამოდენიმე წლის შემდეგ ქართველაძე შეიტყობს, რომ მისი ქალი დაღესტანში ნაიბს ჰყავს ნაშვილები და ზრდისო. ზურაბ ქართველაძე იმ წამსვე წავა დაღესტანში, მივა ნაიბთან, ეტყვის საქმის გარემოებას, მისვლის მიზანს და სთხოვს ეს ქალი მასი შვილია და შინ გაატანოს. ამაზედ ნაიბი და მისი ცოლი დიდს ვარს ეუბნებიან, რადგან ჩვენც ისე შევეზარდეთ, ისე შევეჩვიეთ ამ ქალს, როგორც ნამდვილი დედმამა და მშობლებიო და, ამის წართმევა მხოლოდ ზენაარს ძალს შეუძლიან და არა სხვას ვისმეს და რასმესო. ზურაბმა არ იცის რა ჰქმნას, გულშეწუხებული, ცარიელ-ტარიელი დაბრუნდება უკანვე და სხვა ღონისძიებას ხმარობს. ეხლა უნდა ჩუმათ მოიტაცოს პატარა ქეთო. სთქვა და გაუდარაჯდა იმ გზაზედ, სადაც პატარა ქეთოს უყვარდა თითქმის ყოველს დღეს სეირნობა. ერთი ტყის პირას გზა მიდიოდა და მასზე მიმავალ პატარა ქეთოს სტაცა ხელი ზურაბ ქართველაძემ და უცებ თავის სახლში ამოაყოფია თავი. მაგდანის სიხარული აღუწერელია. მეზობლებით აღივსო სახლი და ეალერსებიან პატარა დაკარგულ და გალეკებულ ქეთოს, მაგრამ რამდენად ქეთოს ნახვით გაიხარა მისმა მშობლებმა, იმდენი და იმაზე მეტი მწუხარება, ვარამი და გულის ძგერა სტანჯავდა, ჰქესჯნიდა საბრალოდ ნორჩს და გამოუცდელს პატარა ქეთოს ბუნებას.

ქეთო რომელ უსჯულოთა სახლშია. ქეთო რამ მოიყვანა ამ უცხო სახლში, ვინ გაუწევს მას ნაიბის და მისი ცოლის მაგიერობას. ეს და ასი და ათასი ამგვარი ფიქრები სთუთქავდნენ პატარა ქეთოს ნორჩ გულს. ამგვარ ტანჯვაში გადიოდა დღეები. დედა ჯავრისაგან ლამის ავად გახდა, რადგან ქეთო სრულებით გალეკებულიყო და დედმამის სრულებით არასფერი ეყურჩბოდა.

საბრალო მაგდანმა ვერაფრით ვერ დაარწმუნა პატარა ქეთო, რომ იგი მისი მშობელი დედა, იგია ცხრა თთვეს მისი მუცლით მტარებელი, ის არის პატარა ქეთოს «ვაით» და მწუხარებით მშობელი ღვიძლი დედა. სდგას და ჰკითხავს თავის თავს: რატომ ერთი ამათდგანი მაინც არ ახსოვს, რატომ ერთს მაინც არ ათვასებს, არ აქცევს ყურადღებას, რას აღმოუფხვრია ასე მირიანად ნორჩი გულიდგან დედმამის სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება. ამ გვარი მწუხარება მაგდანს უეცრივ ჩააფიქრებს, ოთახის კუთხეში მიჯდება და მოწყენილის ხმით «იავნანას» ამოღიღინებს. «იავნანას» გაგონება პატარა ქეთოს სიამოვნებით უვსებს გულს და მხიარულებით აღტაცებული ქეთო უცებ მივარდება მაგდანს, «დედავ» დაუძახებს და ჩაეკვრება გულში.

პატარა ხნის უკან ზურაბიც შემოვა, ქეთო დედას თავს დაანებებს, მიეგებება შემოსულს და დაუძახებს „მამა“ და მოეხვევა იმასაც კისერზედ. მშობლები აღტაცებულნი არიან სიხარულით, და დიდ ხანს ვერ მიხვდებიან, რამ მოიყვანა გონზე პატარა ქეთო, რამ წარმოათქმევინა ქართულად ეს ორი სიტყვა «დედა და მამა». თურმე ნუ იტყვით, დედის ტკბილ ძუძუსთან სამი წლის განმავლობაში წყნარი და ნარ ნარის ხმით ნაგალობი „იავნანა“ ერთად მეზრდია პატარა ქეთოს, გახორცებულა მის ნორჩ გონებაში, გაუდგამს ისეთი ღრმა და მაგარი ფესვები, რომ შვიდი წლის დაღესტანში ლეკებში ცხოვრებას ტყვილადაც ვერ შეუნძრევია, ვერ ამოუფხვრია მის გონებიდგან.

ტკბილმა დედის ხმით ნაგალობლებმა «იავნანამ» ყველაფერი მოაგონა პატარა ქეთოს. ახლა კი დარწმუნდა, რომ თავის მშობლების სახლშია, იმ წამსვე გაიძრო ლეკური ტანისამოსი და თავისი ქართული კაბა ჩაიცვა.

დღეები მიდიოდა და ქეთო თან და თან იგონებდა ყველაფერს და ბოლოს მშვენიერად იწყო ქართული ლაპარაკი, მაგრამ მის გონებიდგან მაინც არ ამოსულან ნაიბი და მისი ცოლი, რომლებიც განუსაზღვრელად უყვარდა, როგორც დედობილ-მამობილი. რამოდენიმე წლის შემდეგ ქეთო ასაკში მოვიდა და ქართლში — თავის დედის სამშობლოში გათხოვდა.

ქეთოს დედმამა სრულიად ბედნიერნი იყვნენ. ყოველს წელს, რთველის დროს ქართლიდგან თავისი ქალი და სიძე მოუვიდოდა ხოლმე და დაღესტნიდგან ნაიბი და იმისი ცოლი. მათ მეგობრულ ალერსს, სიყვარულს და მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.

პატივცემული აკტორი ამით ათავებს თავის მოთხრობას.

უმთავრესი დედა აზრი ანუ იდეია ამ პატარა მოთხრობისა იმაზედ არის დამყარებული, რომ პირველ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებას ყმაწვილის გონებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და არასფერს მისი ძირიდგან ამოხოცვა, ამოფხვრა არ შეუძლია, რაც უნდა გარემოებათა ანუ პირობათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ადამიანი დროთა ვითარებისა გამო.

მართლაც ვინ არ დაეთანხმება პატივცემულ ავტორს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანს გარს არტყია, რაც პატარაობიდგანვე ჩანერგულა, გაუცოცხლებია და გაუდგამს მაგარი ფესვები მისს ნორჩ ყმაწვილურს მიმზიდველს ბუნებაში, ამისა შემდეგში მირიანად ამოძრობა, ამოფხვრა და გაქარწყლება სრულებით არასფერს ძალას არ შეუძლია, რადგან ეს ბუნების წესია და ბუნების წესების წინააღმდეგ, ჩვენის აზრით, მნელია და ხანდისხან თითქმის სრულებით უსარგებლოც ყოველგვარი ბრძოლა, შრომა და საცადი.

ადამიანი თითქმის უნებლიედ, თავის შეუმჩნევლად ინერგავს ითვისებს და მკვიდრად იბეჭდავს გონებაში ყველაფერს, რასაც კი მოუხდენია მასზედ შთაბეჭდილება, რასაც კი დაუჩენია მის გონებაში შესამჩნევი კვალი. ამის შესახებ ერთი გამოჩენილი მეცნიერი პედაგოგი ამბობს, რომ არასფერს მეცნიერს, არასფერს მჭევრმეტყველს პროფესორს არ შეუძლია შეარყიოს და სრულებით განაქარწყლოს თავის მსმენელ სტუდენტში ის რწმუნებანი, ის ღრმათ ჩანერგული შთაბეჭდილებანი, რომელიც მასზედ თავის ყმაწვილობას, თავის სამშობლო გარშემორტყმულ საზოგადოებას მოუხდენიათ.

მოთხრობაში ამას ცოცხლად გვიმტკიცებს მშობლის მდგომარეობა და განცვიფრება იმ დროს, როდესაც პატარა ქეთო მშობლების მოულოდნელად წამოიძახებს ქართულად სიტყვებს: «დედა», «მამა»! განცვიფრებული მშობლები დიდხანს ვერ მიხვდებიან, თუ რამ მოიყვანა გონზედ პატარა ქეთო, რამ წარმოათქმევინა ქართულად ეს ორი სიტყვა: «დედა» და «მამა». თურმე ნუ იტყვით, დედის ტკბილ ძუძუსთან სამი წლის განმავლობაში წყნარის და ნარნარის ხმით ნაგალობი «იავნანა» ერთად შეზრდია პატარა ქეთოს, განხორციელებულა, მის ნორჩ გონებაში გაუდგამს ისეთი ღრმა და მაგარი საიმედო ფესვები, რომ შვიდი წლის დაღესტანში ლეკებში ცხოვრებას ტყვილადაც ვერ შეუნძრევია, ვერ ამოუფხვრია ქეთოს გონებიდგან.

პატარა ქეთო აქ ნათლად და ცოცხლად გვიხატავს იმ მდგომარეობას, როდესაც იგი თავის მკვიდრ დედმამის ოჯახს, ვიღაც ურწმუნო უცხო კაცის ოჯახად სთვლიდა და უჩინარის მწუხარებით და სევდით იყო შეპყრობილი. ამ დროს სამშობლო ხმამ «იავნანამ»—ამ პირველ დღეებში ქეთოს ნორჩ გონებაში ჩარჩენილმა და ჩაბეჭდილმა ხმამ გამოიხსნა საბრალო ქალი რამოდენიმე დღის სულიერ ტანჯვა-წვალებისაგან. მან მოიყვანა გონზედ და გაახსენა თავისი ვინაობა. ამის შემდეგ ნუ თუ ამგვარს მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში განუსაზღვრელი და თითქმის დაუფასებელი მნიშვნელობა არ აქვს და მაშასადამე ამგვარ გრძნობების და იდეების ჩანერგვა და განვითარება მოზარდ თაობის გონებაში დიდს პატივს და დიდებას მოუპოვებს ყოველ საყმაწვილო წიგნების მწერალს. აქ ყმაწვილს კიდევ უფრო მეტი სიყვარული, მეტი პატივისცემა და მითვისება ებადება გულში და უნებლიედ თავის მკვიდრ თანმობილს და ერთად შეზრდილს შთაბეჭდილებას იგონებს და მოწიწებით თაყვანსა სცემს და მუხლს იდრეკს მათ წინაშე, ვისაც ან რასაც აღუნიშნავს მათზედ ეს დაუვიწყარი და მუდამ წარუხოცელი კვალი. ამგვარი აზროვანი მოთხრობა, რამდენად უფრო ადვილი სიტყვებით და მარტივი ფრაზებით არის დაწერილი, იმდენს უფრო მეტს სიყვარულს და საამოვნებას, შეერთებულს სარგებლობასთან, მოუტანს ყმაწვილებს, რომელ ასაკსაც არ უნდა ეკუთნოდნენ, მაგრამ საუბედუროდ ამის თქმა არ შეგვიძლია «იავნანამ» რა ქმნაზედ. აქ ამგვარი ფრაზები, როგორც მაგალითად ესენია: «მაგდანის ხმამ უწია ქეთოს სიღრმემდის»... ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის პირის სახეს... გონების მირიდგანა რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქას და სხვანი, ბევრია და მნელ გასაგებად ხდიან ყმაწვილებისათვის ამ პატარა მოთხრობას.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბ. ავტორს ერთი ისეთი შეცდომა აქვს, ერთი ისეთი ნაკლი გამოსჩანს ამ პატარა მოთხრობაში, რომ უნებლიედ იწვევს თქვენგან გაკვირვებას და ეჭვში შედიხარ ამ გვარის მოვლენის სინამდვილით. ეს ის სცენა გახლავსთ, სადაც ავტორი დიდის აღტაცებით აღგვიწერს იმ წუთს, როდესაც დედამ «იავნანა» იმღერა და ქეთომ ყველაფერი გაიხსენა. «იავნანა» ეს სიმღერა, საზოგადოდ, მიღებულია ჩვენში იმ დროს იმღერონ, როდესაც ავადმყოფი შეპყრობილია, რაიმე სენისაგან, როგორც მაგ. ყვავილისაგან, წითელასაგან და სხვა გადამდებ სნეულებათაგან, სარეცელად გდია და გასართობად, ავადმყოფის გასიამოვნოდ მნახველები და შინაურები ხშირად უთევენ ღამეს და ამ ტკბილ სიმღერას უღიღინებენ. ამ დიდების შესახებ ვამბობთ, რაც შეეხება პატარებს, იმათ კი ეს ტკბილი სიმღერის ხმები დედის ტკბილ ძუძუსთან თითქმის ერთად ეზრდებათ, რადგან აკვანში დასაძინებელ ყმაწვილს დედები ხშირად უმღე-

რენ ამ სასიამოვნო ხმებს. თუ არამ შემთხვევით ამ სიმღერას თითქმის არსად არ მღერიან და ნეტავი რამ აიძულა პატარა ქეთოს დედა, რომ სიხარულით აღტაცებულმა «იავნანა» დაიწყო და არა სხვა. როდესაც მისი შვილი სრულებით ჯანმრთელი და მხიარული იქვე ტახტზედ უჯდა და შესცქეროდა?!

მოთხრობა საზოგადოდ კარგია და დიდის სიამოვნებითაც კითხულობენ მისი პატარა მკითხველები.

თეოფ. ხუსკივაძე.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდამ.

ერთ რუსულ გაზეთ „ბლაგოვესტ“-ში აი რას ვკითხულობთ: „**საჭიროა თუ არა სამღვდელოებისათვის ჯილდოები და რა მიზანი აქვს ამ ჯილდოებს?** შემდეგ გაზეთი განაგრძობს: „თუ ჯილდოებს იმიტომ აძლევენ მღვდლებს, რომ იგინი წააქეზონ და გაამხნეონ, მაშ რატომ აძლევენ ამ ჯილდოებს უმეტესად ქალაქების სამღვდელოებას, რომელიც სოფლის სამღვდელოებასთან შედარებით უფრო უზრუნველ ყოფილია ნივთიერად? ნუ თუ სოფლის ღარიბი მღვდლისათვის, რომელიც მოკლებულია ყოველივე საშვალებას, უფრო საჭირო არ არის ამგვარი გამხნევება და წაქეზება, ვინემ ქალაქის მღვდლებისათვი ? აქედამ ცხადია, რომ სხვა და სხვა ორდენები არსებობენ არა გამხნევებისა და წაქეზებისათვის,—არამედ დასაკმაყოფილებლად თავმოყვარეობისა, თავ-მომწონებისა და სხვა ცუდ მისწრაფებისათვის, რომელიც არ შეჰფერიან სამღვდელო ხარისხს. ჯილდოები ჰბადავს ჩვენს სამღვდელოებაში შურს და მტრობას.

როგორ შემიძლია მე, განაგრძობს გაზეთი, მოვითხოვო მღვდლებისაგან, რომ მან შესაფერად დაიჭიროს თავი ტაძარში, როცა ამით აწყენიებს მის აღმატებულებას და მისი საჩივრისა გამო იგი დაუჯილდოებელი დარჩება? როგორ უნდა იქადაგოს მღვდელმა ჭეშმარიტება, როცა ჭეშმარიტება ზოგს თვალებსა სჩხვლეტს და ამის გამო იგი უჯილდოოდ დარჩება? ჩვენც არ შეგვიძლია მოვსთხოვოთ მღვდელ-მთავრებს და მღვდლებს, რომ მათ ეს ჯილდოები არ მიიღონ. მათ აძლევენ სხვა და სხვა ჯილდოებს, როგორც აფიცრებს და სხვა მოსამსახურეებს და ისინიც ისე უყურებენ ამ ჯილდოებს, როგორც პირველნი. ამიტომ თუ გვინდა ჩვენ, რომ სამღვდელო პირნი სხვანაირად მსახურებდენ და უფრო მაღლა იდგნენ ზნეობით, ვინემ საერო პირნი, საჭიროა ჩავაყენოთ ისინი სხვა პირობაებში და არა ხელოვნურად ვაკმაყოფილოთ მათი თავმოყვარება და თავ-მომწონეობა. ამიტომ სამღვდელოების დაჯილდოება სხვა და სხვა ორდენებით მოსპობილ უნდა იქმნეს.

ამ შენიშვნას აი რას დასძენს «საეკკლესიო მახარობელი»: „ამ სიტყვებში ძალიან ბევრი სიმართლეა. ბევრი მაგალითია, რომ რომელიმე სოფლის მღვდელი, რომელსაც კეთილად და პატიოსნად ულევაწნია ორმოცდა ათი წელიწადი, დაჯილდოებულა ნაბედრენნიკით, ზოგი სკუფიით და ამით კმაყოფილნი არიან. ან სად ჰქონდათ მათ დრო ორდენებზე ეფიქრათ, როცა მათი ფიქრი იყო გვალვა ანუ კაი მოსავალი, რომელიც აძლევდა მათ ლუკმა პურს? დიდი ხანი არ არის, რაც სასულიერო წოდებაშიაც დაიწყეს ორმოც-და-ათი წლის სამსახურისათვის სხვა და სხვა ორდენების ძლევა, მისცეს ერთს, მეორესაც აღეძრა სურვილი, რომ მანაც მიიღოს. ამან გამოიწვია შური და მტრობა სამღვოელოებაში, თუ ერთს რატომ მისცეს ვლადიმირი და მეორეს მხოლოდ ანნას ორდენი».

რას მოიგებს სამღვდელოება, რომ ჯილდოები იქმნეს მოსპობილი. კითხულობს «ბლაგოვესტი»?. იმას, განაგრძობს იგივე გაზეთი, რომ ჩვენი მღვდელმთავრები უფრო უშიშრად იმოქმედებენ და მთელი სამღვდელოებაც უფრო ჭეშმარიტად და ღირსეულად შეასრულებს თავის მაღალს სამსახურს».

*
* *

ერთი რუსული გაზეთი, სახელად «ორლოვსკის მახარებელი» აი რასა სწერს საეკკლესიო—წიგნთსაცავების შესახებ: «დღეს, როდესაც ჩვენი სამღვდელოება დავალებულია, რომ მან აღადგინოს ხალხში სარწმუნოება და ზნეობა, ძალიან საჭიროა საეკკლესიო წიგნთ-საცავების დაარსება სამრევლოებში.

უმაღლესი სასულიერო მთავრობა დიდის ხნიდგან ითხოვდა ამ წიგნთ-საცავების დაარსებას ეკკლე-

სიებთან და ამ მიზნით იცემოდენ სასულიერო შინაარსის წიგნების სია, მაგრამ, ეკკლესიების სიღარიბისა გამო, ეს მშვენიერი კითხვა დღესაც მიჩუმებულია. უწმიდესმა სინოდმა ჰქნა განკარგულება, რომ საეკკლესიო წიგნთ-საცავებისათვის მოეპოვებიათ წიგნები ეკკლესიების შემოსავლისაგან. მაგრამ დღემდის თუ არ არსებობენ ასეთი წიგნთ-საცავები, ეს არის ბრალი უფრო მრევლის მღვდლებისა და მნათეთა, ვინემ საშვალებათა უმქონებლობისა. საეკკლესიო წიგნთ-საცავები საჭირონი და სასარგებლონი არიან არა მარტო ეკკლესიის კრებულისათვის, არამედ სამრევლოებისათვისაც, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც არავითარი წიგნთ-საცავი არ მოიპოვება. თუმცა ზოგან, მართალია, მოიპოვებიან წიგნთ-საცავები, მაგრამ მათში ხშირად მსურველთ არ შეუძლიათ მოიპოვონ სასულიერო შინაარსის წიგნები. საჭიროა, რომ ამ კითხვას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ დღეს სამრევლოთა წარმომადგენელმა პირებმა».

## პასუხად ქართული ხმების მოყვარეს.

წინა წერილში გითხარით მე, რომ ლოტბარათ დამნიშნეს, მაშინ რუსულად მგალობლებისთვის იყო დანიშნული 850 მან. მეთქი. მაშასადამე წინა ლოტბრების დროსაც რუსულად მგალობლებს ეძლეოდათ 850 მ. თქვენ ამაზედ მიპასუხეთ: «შენ დაგნიშნეს, თუ სხვა,— ეს სულ ერთია» (ვერ მივხვდით, რათ გვთქვით: მე რომ ლოტბარათ დამნიშნეს, ჩემი რა ბრალია?) «ჩვენ ვამბობთ ქართულ მგალობლებს მოუკლეს და რუსულს მოუმატესო». რუსულად მგალობლებს, რიცხვით ოცზედ მეტს, ლოტბარითურთ, ეძლევათ 850 მან. და ქართულად მგალობლებს — სამ კაცს კი 220 მან. 1) ნუ თუ სამ კაცს ოც-და-ორ თუმანზედ მეტი ეძლეოდა და ოცზედ მეტს მგალობლებს და ლოტბარს კი 850 მან. ნაკლები? ნუ თუ თქვენებური ანგარიშით (როგორც წინა წერილში ბრძანებდით) ექვს კაცს ქართ. მგალობლებს ეძლეოდა 600 მ. და ოცზედ მეტს და ლოტბარს კი 250 მან.? ახირებული ლაპარაკი თუ გაგიგონიათ, ეს არის!

1) თუ ეს სამი კაცი იმ ოც-და-ორი კაცის საქმეს აკეთებდა, რატომ იმათაც კი იმდენი არ უნდა მიეცეს, რამდენიც სხვებს?

რედ.

ძალიან კარგი, წარმოვიდგინოთ, რომ წინა ლოტბრების დროს რუსულ მგალობლებს მოუმატეს ფული, მაშასადამე ლოტბრები და რუსულ მგალობლები, როგორც თქვენი მეორე წერილიდგან სჩანს, ვალდებულნი იყვნენ ეგალობნათ ეკკლესიაში რუსულადაც და ქართულადაც. მერე იგალობეს? გაგიგიათ როდისმე, რომ ლოტ. ან უტარნოვს, ან მაჭავარიანს და ან ალნიაშვილს ეგალობნათ ქართულად? 1) თუ კი ვალდებულნი იყვნენ, განა უქოროძოთ არ უნდა ეგალობნათ? თუ კი მე შემძლეი და ვგალობ! განა ისინი კი ვერ აგალობებდნენ, თუ კი შეეძლოთ? მერე იცით, გარემოება როგორ ხელს უწყობდა იმ დროს? მათ დროს მგალობლებს იმდენი თავისუფლება და პატივი ჰქონდათ, რამდენიც ეხლა სიზმრათაც არ დაესიზმრებათ. 2)

ჩემ წერილში იყო ნათქვამი: მე როგორც ლოტბარმა და მგალობლებისთვის მზრუნველმა, მივმართე ყოვლად სამღვდელოს, რომ რუსულ ხოროსთვის მომატებისათ ჯამაგირი და კიდეაც მოუმატეს. ამაზედ თქვენ მიპასუხეთ: «რათ გინდათ მეტი ყურადღება დაიმსახუროთ მეტი ჯამაგირისთვის? იმის, რომ ქართველი ქართველების ეკკლესიაში ქართული გალობის თქმის ვალდებული არა ხარ? მართლმსჯელობა თუ გნებავს ეს არის!» ყური დამიგდეთ, ქართველი ხმების მოყვარევ, დაწვრილებით გიამბოთ: ლოტბარათ რომ მნიშნავდენ, თხოვნა მივართვი, ვისაც ჯერ არს, რომ ვიკისრებ ლოტბარობას, უკეთუ მგალობლებს შრომის სასყიდელი მოემატებათ. აღმითქვეს, მაგრამ გავიდა ორი წელიწადი და არასფერი მოემატათ. ხელ ახლად თხოვნა შევიტანე, რომ ამ სასყიდლით, რაც დღეს მგალობლებს ეძლევა, არ შეუძლიან ხოროს მართვა და განმათავისუფლეთ მეთქი. მოუმატეს 400 მან. მომატებაზედ ვზრუნე იმიტომ, რომ მგალობლების შრომა დამესაჩუქრებინა. ხომ მოუმატეს; მომატების შემდეგ თვითეულ მგალობელს მოსდის, შუა რიცხვით, სამი თუმანი წელიწადში, და განა ამაზედ მცირე სასყიდელი გაგონილა? ხომ

1) უტარნოვს მაშინ ქართული ნოტები არა ჰქონდა და მაჭავარიანმა არც ერთი გალობა არ იცოდა, თუ მართალს იტყვის კაცი.

2) თუ არც თავისუფლებაა და არც პატივი, თავის დანებება სჯობს.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გნებავს, ქართული ხმების მოყვარევ, ამ სასყიდელით რუსულ გალობაშიაც გმზადნენ და ქართულშიაც? ხომ არ გნებავთ, მთელი წლის განმავლობაში წირვა-ლოცვაზედ იარონ და იგალობონ. მე ხომ გითხარით, აიღეთ შრომის ფასი, რომელიც გადადებულია ქართულ და რუსულ მგალობელთათვის, გაყავით პროპორციონალურად და მაშინ მიხვდებით,—ვის უფრო მეტი ჰხვდება შრომის ფასი მეთქი. გაჰყავით? მერე როგორ იანგარიშეთ? რვა თვე ნახევარს მსახურობთო და «ოც-და-ხუთ წირვაში რომ 1030 მან. მიიღოთ, მეტი რაღა გინდა» ო. ძალიან კარგი, მაგრამ 1030 მანეთს ოც-და-ხუთ წირვის გალობაში ვიღებთ განა? მე რომ გითხარი წინა წერილში: იქონიეთ სახეში, რომ რუსულ გალობისთვის კვირაში სამჯერ რეპეტიციაა საჭირო მეთქი, იქონიეთ? იქნება რეპეტიციებს არაფრად აგდებთ? იქნება გალობის სწავლება ადვილი გგონიათ? აი ამ საქმეში რომ გამოცდილი იყოთ, კრინტსაც აღარ დასძრავდით, მაგრამ რა ამ საქმეში რა სხვაში!.. სამხედრო კაცებს იარაღის ველზედ გასვლა ათასში ერთხელ მოუხდებათ ხოლმე, მაგრამ ჯამაგირს კი ათასობით იღებენ, რათა? აბა იფიქრეთ და მიხვდებით. [1]) აქ არ არის საჭირო, ქართული ხმების მოყვარევ, რომ პასუხი დაგიხურდაოთ. ჰო, იქნება ჩემი ჯამაგირი გებევრებათ. ამაზედ მოკლედ გეტყვით: ცხრა თვის განმავლობაში რეგენტათ ვარ, ვმართავ ხოროს, კვირაში სამჯერ (ხან ოთხჯერ) რეპეტიცია მაქვს მგალობლებთან. საშობაოთ, საყველიეროთ და სააღდგომოთ, როგორც მასწავლებელი, თავისუფალი ვარ, მაგრამ როგორც ლოტბარი დამწყვდეული ვარ ქუთაისში [2]) და დიდი მოვალეობაც მაწევს კისერზედ. ეს შრომა მიღირს მე სამას მან. და ამაზედ მეტ შრომას მალდატანებით და ვისიმე ბრძანებით არ მივიღებ. ჩემის ნებით და ვისიმე პატივისცემით და თანაგრძნობით კი დიდის სიამოვნებით! ესეც ხომ გაიგეთ, ქართული ხმების მოყვარევ! ერთ რასმეს გეტყვით კიდევ: ქუთაისში, ჩემს გარდა, ორი ლოტბარია: ერთი საკაცო გიმნაზიაში და მეორე საქალებოში; პირველი იღებს ჯამაგირს 400 მან., მეორე 300 მან.

[1]) ეს სწორეთ არაფერი შედარებაა. ჯარის კაცებს სამს წელში ასწავლიან თოფის ხმარებას და შემდეგ იგინი მზად არიან ომისათვის. კვირაში რომ სამჯერ რეპეტიციები გამართოთ, და ოცჯერ წირვაზედ დაესწროთ წელიწადში, სწორეთ არ არის მოსაწონი.

[2]) იქვენი ამხანაგებიც დამწყვდეული არიან ქუთაისში? განა შეიძლება ერთი და ორი კვირისთვის სიღნაღში წასვლა?..

რედ.

იმათაც ის შრომა აქვთ, რაც მე. ახლა მითხარით: თუ კი ისინი იღებენ ამდენ ჯამაგირს, მე ვიღასი «სახარჯო» გახლავარ!.. [1])

წინა წერილში მე მოვიხსენიე, რომ სამს ქართ. მგალობელს ეძლევა 220 მან. და ისინი გალდებულნი არიან იგალობონ ქართულად მეთქი. ამაზედ მოჰყოლიხართ და ვინ იცის, რას არ წაწვდენილ-წამოწვდენილხართ. რა საჭირო იყო ან მ—სა და ან წ—ს ხსენება? ჩემ წერილში აზრი ძლიერ სადა და ადვილი გასაგები იყო. აი როგორ: ოც-და ორი თუმანი არის გადადებული ქართულ მგალობლებთათვის და 1030 მ. რუსულად მგალობელთათვის. ესე იგი, 220 მან. უნდა მოჰხმარდეს ქართულ გალობას და 1030 მ. რუსულს. თქვენ კი გაგიჭიანურებიათ სიტყვა და გაიძახით: «ქართულ მგალობელთა რიცხვი დაამცირეს თქვა (ორიღა დარჩა), ისინი იმისთვის, რომ სოფელში მღვდელ-მთავრის მსვლელობის დროს მიუცილებელ საჭიროებაზედ მესამე ვინმე მიიხმარონ. სამწუხაროდ ესეც დროებით გახლავსთ, აი როგორ: ის ორი მგალობელი რომ მოჰკვდეს» (რას ემართლებით!) «მათ შემდეგ მგალობლები აღარ იშოვებაო» ჯერ ამბობთ «დაამცირესო», ორი მგალობლის მეტი აღარ იშოვებაო, მერე ამბობთ—საჭიროებაზედ მესამე ვინმე უნდა მოიხმარონო. მითომ როგორ, მე ვერ გამიგია. ძალიან მადლობით ვჯით, ქართული ხმების მოყვარევ, თქვენი ნებაა.., რომ ბრძანებთ: «ნოტებზედ გალობა დასწერეს, მემარიე, შვილმა და კანდელაკმა იგალობოს»-ო? არ გეკადრებათ, რაო მითომ, უნოტოთ გალობა არ შეიძლება? მე მოგახსენებთ: ნოტებზედ რომ ქართული გალობა დასწერეს, მისი ჭაპანწყვეტა აუცილებლად ბენაშვილმა უნდა ივისროს? ჰერიჰა!.. ახირებული ლაპარაკი და დაყინება თუ გაგიგიათ, ეს არის! მე აგიხსნით, რისთვის გადაიღეს ნოტებზედ ქართული საეკლესიო ხმები. ამ საუკუნის ბოლო წლებში ძლიერ ცოტანიღა დარჩნენ, რომლებმაც ზეპირად იციან ქართული საეკლესიო საგალობლები (ისე ცოტანი კი არა, რომ ორის მეტი აღარ დარჩენილიყვნეს, თუნდ მარტო იმერეთში) ამ მგალობლების დაკარგვით, დაიკარგებოდა ქართული გალობაც; რომ არ დაკარგულიყო და არ გამქრალიყო ქართული გალობა, ნოტებზედ გადაიღებინეს. შემდეგში, ვინ იცის, იქნება ქართულ ხმებს ბედმა გაუღიმოს... მაშინ მსურ-

[1]) ისაკიევის საკრებულო ტაძრის რეგენტი 1500 მეტსაც იღებს. მაგრამ ისინი ყოველ დღე გალობენ და ყოველს კვირას და თქვენ ძლიერ ძვირათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელით ყოველთვის შეეძლებათ იხელმძღვანელონ ამ ნოტებით გალობის დასწავლაში. აი მიზანი, რისთვისაც გადიღეს ნოტებზედ. თქვენ კი მოგყავთ ნიმუშად ბ. რატილი და მის ყველგურებით: უცხოელმა ჩვენ კი ქართულად აგალობოსო და შენ კი იმერლებიდგან თავს ირიცხავო»-ო. რომ კარგათ მიხვედრო საქმის ვითარებას, გავაბამ პარალელს რატილისა და ბენაშვილის შორის.

ბ. რატილმა დასდო მიზნათ შეადგინოს რუსულ მგალობელთა ხორო და კონცერტები აძლიოს (თუმცა ეს მრთმა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იმერულ ეკკლესიური საგალობლების დასწავლა).

ბ. ბენაშვილმა დასდო მიზნათ შეადგინოს რუსულ მგალობელთა ხორო (ვალდებულია), მზათ ჰყავნდეს და საჭიროების დროს აგალობოს.

ბ. რატილს რომ უთხრან: შენ რატილო, ქართული ხოროც იქონდეს და იტალიანური ოპერებიც ამღერო, დარწმუნებული ვარ, უპასუხებს: «ნუ მოყვემ, ნუ მოყვემ»-ო (არ შემიძლიანო).

ბ. ბენაშვილს ეუბნებიან: ბენაშვილო, რუსულად ხომ ამზადებ გალობასო, მაშ ქართულადაც მოამზადეო! იგი უპასუხებს: კაცო, ვალდებული არა ვარ და ჩემ თავათ შეიძლება ესეც გავაკეთო. მეტი რაღა გინდა!

კიდევ ერთს მაგალითს გეტყვი: სასწავლებელში ზოგიერთი ქართველი კაცი რუსულ ენის მასწავლებლად არის დანიშნული, ეძლევა დანიშნული ჯამაგირი და რუსულ ენას ასწავლის. მოდი და იმას უთხარი: შენ ქართველი ხარ, რუსულს რომ ასწავლი, უთუოთ ქართულიც ასწავლეო. საფუძვლიანი იქნება ამისთანა მოთხოვნილება?

ყველა-ყველა და ამდენი ცილის წამება ჩემზედ რამ გაიმულათ, ქართული ხმების მოყვარევ? 1., —მითომ მე მეთქვას ჩემ წერილში, რომ «იმერლებმა მაინცა და მაინც იმერული ძებნონ ლოტბარადა»-ო. ფიქრადაც არ მომსვლია ეს აზრი, მედა ჩემა ღმერთმა, რადგან მე ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს ის წმენა, რომ იმერელი, რაჭველი, გურული, მეგრელი, სვანი, კახელი, ქიზიყელი, თუში, ხევსური, ფშაველი, ინგილო და მესხი (გამაჭმადიანებულ საქართველოს მცხოვრებნი) ქართველები არიან, ერთი ოჯახის წევრნი არიან, ერთი მამათ მთავრის შვილნი არიან. 2., მითომ მე მეთქვას: «გახურად თუ მგალობ, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო ვიცი»-ო. ჩემს პასუხში ეს არ სწერია. 3, —«გარწმუნებთ, რომ ზეპირად ერთი სიტყვაც არ იცით»-ო; მარწმუნებთ კიდეც! იყოს ნება თქვენი. 4., «ყველაფერი ხელს უწყობს და იმერულად კი არ გალობსო»-ო. მართალი? დიდ, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ შორის ვინ არის მართალი».

და ბოლოს კიდევ არ იშლით და ჩემს მიერ გადაღებულ წირვის წესისა საგალობლების შესახებ ლაპარაკობთ. ლაპარაკობთ იმაზედ, რაც მართლა რომ არ გესმით და, რაზედაც მამასადამე, არ შეგიძლიათ სამართლიანი მსჯელობა იქონიოთ. ამას ეხლავე ფაქტიურად დაგიმტკიცებ.

თქვენს წინა წერილში აი რა სწერია: „აღდგომის მეორე დღეს რომ წირვის წესი აგალობეთ ქართულად, საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ესიამოვნა, მაგრამ ზოგიერთებისაგან რა გაიგე იცი? ბენაშვილი ელოდ ოკლე პატრიოტი ყოფილაო! რაც ეს ლოტბარად არის თუ როდისმე ქართულად აგალობა გვინდა, უსათუოთ ისე უნდა აგალობოს, როგორც ქიზიყში გალობენო». პირველ წერილშივე და შემდეგ მეორეშიაც იმეორებთ: „ქართველი ხმები სად და რომელ კუთხისაც უნდა იყოს, იგი ქართველების ყურს მაინც არ ეჩვენება უცხოთ»-ო.

ხომ გესმით და გაიგონეთ, ქართული ხმების მოყვარევ, რომ ქართველების ყურს უცხოთ არ სჩვენებია ჩემ მიერ გადაკეთებული «ქიზიყური» ეკკლესიური საგალობლები, რომლისაც გეუბნებიან აღდგომის მეორე დღეს: თუ როდისმე ბენაშვილმა აგალობა ქართულად, უთუოდ ქიზიყურად აგალობოსო.

მეც წინა წერილში გითხარით, რომ კილო სრულებით არ შემიცვლია, არ დამირღვევია მეთქი; მსმენელებიც ამ აზრისანი არიან და თქვენ კი, მხოლოდ თქვენ კი, ქართული გალობის მოყვარევ, მაგრამ... თქვენმიერ დაწერილ მეორე წერილში მეუბნებით: „თქვენგან გადაკეთებული გალობა უცხოთ გვეჩვენა, ნამდვილ ქართულ ხმად ვერ ვიცანით და თუ გინდა კიდევაც გაგვიკვირდა». ის კი არ არის გასაკვირი, რასაც თქვენ გაუკვირვებიხართ; გასაკვირი არის თქვენი უცოდინარობა. გულწრფელად გეტყვი, რომ ჩემ მიერ ოთხ ხმაზედ გადაკეთებული ქართლ-კახეთის წირვის წესის საგალობლებში კილო დაცულია, არ არის დამახინჯებული, ასე რომ ეს წირვის წესი ან კახეთში ან ქართლში რომ ვაგალობო ხორომს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართლ-კახეთის კილოს მცოდნე-მსმენელნი არ უარჰყოფენ ამას. თქვენ თუ მეწინააღმდეგებით, ეს არის ჯიუტობისა, უვიცობისა და რაღაცა პირადული ანგარიშის ნიშანი და სხვა არაფერი.

ერთ ადგილას ჩემს ნაწერში ვსთქვი: კრიმი (პირველი ხმა) და მოძახილი (მეორე ხმა) არ დავშალე, თითქმის ყველა საგალობლებში ხელ-უხლებლად დავსტოვე და სხვ. აი როგორ: ყველა საგალობლის პირველი და მეორე ხმა არ დავარღვიე, ხელ-უხლებლად დავსტოვე, მხოლოდ ზოგიერთი საგალობლის ნაცოხნალურ ხმებს—პირველსა და მეორეს. ერთ მგალობელს არ ვუსაკუთრებ, არ ვუთმობ, მაგ. წვრილი ხმა (დისკანტი) რომ ამბობს რომელიმე საგალობლის კრიმს; პატარა ხნის შემდეგ ეს დისკანტი სხვა ხმაზედ გადადის, და იმის ხმას აგრძელებს ტენორი, მერე ტენორი სხვა ხმაზედ გადადის, და იმის ადგილს იჭერს ალტი და სხვ. აქ კილო არ იცვლება, იცვლებიან მხოლოდ მგალობელთა ხმები, რადგან ერთმანეთს ადგილს უთმობენ. ესეც ათასში ერთ საგალობლებში არის და არა ყველგან. სხვა საგალობლების კრიმი და მოძახილი კი დასაკუთრებული აქვთ რომელიმე ხმებს, და თავიდგან ბოლომდის ისინი ამბობენ. აი ამის შესახებ ვსთქვი: პირველი და მეორე ხმა თითქმის ყველა საგალობლებში ხელ-უხლებლად დავსტოვე მეთქი. თქვენ კი ქართული ხმების მოყვარევ, წამოჭკვარით ხელი «თითქმისს» დავიან, იცის როგორ აგოგმანეთ. კიდევ გაგიმეორებთ და გეტყვით. რაც არ გესმისთ, იმაზედ ლაპარაკი არ გმართებთ.

ყველა ტომს (нація) თავისი ნაკვთი (типъ) აქვს: ქართველს, სომეხს, ბერძენს, რუსს, ურიას და სხვებს. თავისი განსხვავებული ნაკვთი აქვთ, რომლი-

თაც შეუძლიან კაცს გაარჩიოს ერთი მეორისაგან. აგრეთვე არის ხალხური ეროვნული (НАЦІОНАЛЬНЫЯ) ხმები. იტყვიან ხოლმე: ქართული ხმა, ბერძნული, სომხური და სხვანი; შეხვდებით ქართველ კაცს, ვიტყვით ხოლმე: ქართველის ნაკვთი აქვსო. ე. იგი ქართველიაო, იმღერებენ რასმე ქართულს, იტყვიან — ქართული კილო არისო. ახლა წარმოიდგინეთ ნაკვთი ქართველი კაცი, მაგრამ უქუდო და ფეხებ დამახინჯებული. ჩვენ რომ ამ კაცს ხელოვნურად ისეთი ფეხები გაუკეთოთ, როგორც შეეფერება მის ტანადობას და ამასთანავე ამ ქართველ კაცს თავზედ დავხუროთ იმისთანა ქუდი, რომელიც შეეფერება მის ტანადობას და წლოვანებას, ე. ი. შნო და ლაზათი მივსცეთ და მერე შევხვდოთ, განა ამ კაცს ვეღარ ვიცნობთ — ქართველად, მხოლოდ უფრო შნოიანი და მოხდენილი სახით.

აგრეთვე ქართული ხმაა. პირველი და მეორე ხმა ბურჯია კილოსი (ჩემის აზრით საჭიროა ეკლესიურ საგალობელში პირველი და მეორე კრინი და მოძახილი დაიცვას კაცმა, რომ კილო არ დაიკარგოს ბანი და მეორე ხმა რომ სხვანაირად დაუყენოს, კილო არ დამახინჯდება, მხოლოდ ბოლოკი თვითეულ საგალობლისა უცვლელად მგალობელმა ერთ ხმაზედ უნდა გაათაოს, რადგან ეს არის განსხვავებული ნაკვთი ანუ კუთვნილება ქართულ ეკლესიურ საგალობლებისა) ბანი და მეოთხე ხმა კრინისა და მოძახილს დაუმორჩილე ჰარმონიულად და ოთხ ხმაზედ დავაყენე ქართლ-კახურის წირვის საგალობელი, რადგან მიზნათ მქონდა, რომ ეკლესიაში ხან-დის-ხან რუსულის მაგიერ ეს საგალობელი მეთქმევინა მგალობელთა ხოროსთვის.

ანდრია სვიმონისძე ბენაშვილი.

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება *).

### წილკნისა.

მე-XVIII. ილიანს ხუცესს... დრამა კოდი ერთი კომლზედ. თუ საკანონო იყოს რამე, როგორც ზემოდ დაგვეწეროს, ის ე განაკანონეთ.

მჭადიჯვარს წინამძღვარი თან წილკნელი თუ სარჯულავზედ დაივლოდეს თავის მონასტრიდამ მჭადისჯვრის წინამძღვარი კრებულით შემოსილი მოეგებოს ერთი დღე მასპინძლობა — სახუცო ხარი და მარჩილი, თუ წინამძღვარი მოკვდეს საწირავი ნიშანი, გარდასახური ცხენი და იარაღი, სუფრის იარაღი თასი — ესეები წილკნელს მიართონ.

ბურდია შვილები, სახლის უფროსნი კაცნი ან მოხელენი მოკვდეს ვინმე ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, გარდასახურავი ორი, ერთი თვისი, ერთი წილკნელისა. სუფრის იარაღი, თასი — ესენი წილკნელს მიართონ. აგრეთვე ქალი თუ მოკვდეს საწირავი ნიშანი ტყავიანი ტალომა [1], კაბა სარტყელი, ლილო, ბეჭედი, თავსახური, ორი გარდასახურავი, ერთი თვისი, ერთი წილკნელისა. თუ სხვა რიგი უმცროსი მოკვდეს ან უცოლშვილო იმას ერთი საწირავი მიართონ.

სოფლის კაცმა ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი დ, მარჩილი კომლზედ დრამა კოდი ერთი, ერთს დღეს ჩაყენება. მსახური თუ მოკვდეს — საწირავი ცხენი და იარაღი, აგრეთვე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს საწირავი მიართონ. საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზემოდ დაგვეწეროს ისე გამოართვით.

მუმლთურთ კარელთ ღვდელს [2]) ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩალი, სოფლის კაცს ერთს დღეს მასპინძლობა, დრამა კოდი ერთი კომლზედ, მსახური; თუ ვინმე მოკვდეს საწირავი ცხენი, იარაღი აგრეევე მსახურის ცოლს ერთი საწირავი, საკანონო თუ რომ იყოს, რაც ზევით დაგვეწერო-ა, ის გამოართვით.

ზენაფერის არათანაშვილებს დრამა არ აძევთ. არათანაშვილების სახლში უმფროსი კაცი მოკვდეს თუ დედაკაცი კაცზედ საწირავი მთელი ცხენი და იარაღი, დედაკაცზედ ერთი საწირავი და ერთი ნიშანი ერთს დღეს მასპინძლობა ღვდელს, ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩალი, საკანონო თუ რომ იყოს, ზევით დაგვიწერია ისე გამოართვით.

ოდის კარის ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი სოფლის ერთს დღეს ჩაყენება, დრამა კომლზედ კოდი ერთი; მსახური თუ ვინმე მოკვდეს საწირავი ცხენი და იარაღი, აგრეევე მსახურის ცოლს საწირავი, საკანონო თუ რამ იყოს, ზევით დაგვიწერია ისე გამოართვით.

ზოგილარს წიწილაშვილებს მთელი ნაშანი ცხენი და იარაღი [3]) ორი გარდასახურავი ერთი წილკნელის ერთი თავისი, აგრეევე იმათი მეუღლენი რომ მოკვდენ საწირავი ნიშანი ტყავი ან ტალომა [3]) კაბა, სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი მოსახურავი ღვდელს. ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი, სოფლის კაცს ერთს დღეს ჩაყენება, დრამა კომლზედ კოდი ერთი; მსახური თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული [4]). თუ მსახურის ცოლი მოკვდეს ერთი საწირავი მიართონ, საკანონო თუ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს იმ რიგად გამოართვით.

ათერისუბნის ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი სოფლის კაკს ერთს დღეს მასპინძლობა, დრამა კომლზედ ერთი (დანარჩენი როგორც ზევით არის მოხსენებული).

ჯიგრაშენს ქვათარძეები. სახლის უფროსი კაცი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთე-

*) იხ. «მწყემსი» № 22.

[1]) ტალომა — ფართო სამოსელი ბეწვიანი (ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი გვ. 297).

[2]) ღვდელი იწერება მუდამ ასო მოკლებით; თავში არ უზის მ.

[3]) და იარაღი იწერება ასე „დაარაღი". ეს სიტყვა არის დაწერილი ესრედ წოდებული პალეოგრაფიაში ჭ-პლოგრაფიით: ორი ასო ერთად მიქცეული და შეერთებული.

[4]) შკაზმული = შეკაზმული.

ლი ნიშანი, ცხენი შეკაზმული ორი წილკნელისა ერთი თვისი. სუვრის იარაღი, თასი წილკნელს მიართონ. ქალს საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი ღილი, ბეჭედი, თავსახურავი ორი წასახურავი სახლის უფროსი რომ არ იყოს, ან უცოლშვილო ის რომ მოკვდეს იმის ერთა საწირავი მიართონ [2]) წილკნელსა, სოფლის კაცს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და მარჩილი, სოფლის კაცს კომლზედ დრამა კოდი ერთი. მსახური თუ მოკვდეს საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს ერთი საწირავი სოფელს ერთს დღეს ჩაყენება, საკანონო თუ იყოს როგორც ზემოდ დაგვიწერია ისე გამოართვით.

თელოვანს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება. ხარი და მარჩილი, სოფლის კაცს ერთს დღეს ჩაყენება კომლზედ დრამა კოდი ერთი; მსახურზედ საწირავი ცხენი შეკაზმული, აგრევე მსახურის ცოლი თუ მოკვდეს ერთი საწირავი, საკანონო თუ რომ იყოს, როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ქსოვრისს რატისშვილი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი თუ კაზენს დაემარხნენ მთელს ნიშანს საგთავნელი გამოართმევს ერთს გარდასახურავს და საწირავს წილკნელს მიართმევენ, თუ თელოვანს დაემარხა მთელს ნიშანს წილკნელი წაიღებს, სამთავნელს ერთს საწირავს და [3]) ერთს გარდასახურს მიართმევენ. ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი, მარჩილი სოფლის კაცს აზნაურშვილებს ერთს დღეს მასპინძლობა კომლიზედ დრამა კოდი ერთი მსახურზედ საწირავი, ცხენი შეკაზმული. თუ მსახურის ცოლი მოკვდეს საწირავი რაც შეეძლოს საკანონო როგორც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართმევთ.

რა ჟამს არაგვის ერისთვის მამულში სარჯულავზედ წილკნელი შებძანდეს, იხმოს მაჰამთავარი მირზაშვილი, ჯვარის მტვირთველთ საყდრის კრებულნი, ორმოცნი ცხენოსანი მსახურნი მიბძანდეს არაგვის ერისთავთან დუშეთს, არაგვის ერისთავი და მეუღლე მათი საწოლის კარს მიეგებნენ. წილკნელს ხელი მოჰკიდონ ცოლქმართა დორსა [4]) და ქეჩაზედ შუა დაიწვიონ დიდის პატივითა დახვდენ არაგვის ერისთვის კარი საყდარს. წილკნელს არ მოიხსენებენ, ბატონი კათოლიკოზი უნდა მოიხსენონ თუ წილკნელი იქ ერისთავთან ბრძანდება წილკნელის პატივისათვის მათ თანაევლობით მოიხსენებენ. ერისთვის სასაფლაოზედ წილკნელი უნდა მოიხსენონ. არაგვის ერისთავი ან მეუღლენი მათი თუ მოკვდეს უწილკნელოდ ვერ დამარხვენ. ამათი ნიშანი მთლათ რომ არა აკლდეს რა ყველას ბატონი კათოლიკოზი წაიღებს. წილკნელს საწირავს და ნიშანს წასახურავს მისცემენ აგრევე თუ არაგვის ერისთვის შვილები ქართველის ბატონის მოხელენი იყვნენ და მოკვდეს იმათი ნიშანიც როგორც მართებელია ისიც ბატონის კათოლიკოზისაა. წილკნელს საწირავს და ნიშანს წასახურავს მისცემენ.

უსახელო არაგვის ერისთვის შვილი ან უცოლო რომ მოკვდეს თუ შეუძლია ბატონს კათოლიკოზს საწირავს მიართმევენ, თუ არა და ვერას გამოეკიდება, წილკნელისა არის მთელი ნიშანი და ერთი წასახურავი.

ახალუბანს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება, სახუცო ხარი და ცხვარი, სოფლის კაცს ერთს დღეს ჩაყენება კომლის თავზე დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახურზედ საწირავი თუ მოკვდეს ცხენი შეკაზმული, მსახურის ცოლი თუ მოკვდეს საწირავი მიართონ, საკანონო უზიარებელი თუ მოკვდეს, მოჰკითხვით ჰქენით: თუ ლვდელს არ ეზიარებინოს საუზიარებელი ხარი ერთი, თუ პატრონს ჰქონდეს დანიშნული იმას გამოართვი საკანონო ხარი ერთი და თუ ჯვარდაუწერელს თუ ვისიმე კაცი შემოაკვდეს საკანონო ხარი თორმეტი.

მისაქციელს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და მარჩილი, სოფლის კაცს ერთს დღეს მასპინძლობა დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი მსახურზედ საწირავი, შეკაზმული ცხენი. მსახურის საწირავი რაც შეეძლოს. საკანონო თუ იყოს რამე როგორც ზევით დაგვიწერია.

ხშირის ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და

---

[2]) მიართონ=მიართვან (ვა=ო, როგორც თვალი=თოლი, კვამლი=კომლი.

[3]) და ხშირად იწერება მხოლოდ ერთი ასოთი «დ»

შენიშვნა. [4]) დორი—ზურგის მოსაყუდებელი ბალიში (ს. ს. ორბელიანის ახსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარი სოფლის კაცს ერთს დღეს მასპინძლობა დრამა კომლზედ პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი; მსახურის და მოხელეს საწირავი ცხენი შეკაზმული. მსახურის ცოლს რაც შეეძლოს, ერთი საწირავი, საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს.

ფრელუთს მირზაშვილებს სახლში თუ უფროსი კაცნი მოკვდენ ან მეუღლენი მათნი, კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი გარდასახური, ერთი წილკნელისა [1]) ერთი თვისი სუფრის იარალი და თასი. ესენი წილკნელს უნდა მიართონ, აგრევე მათის მეუღლის საწირავი მთელი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ლილი ბეჭედი, თავსახურავი ორი, გარდასახური ერთი წილკნელისა ერთი თვისი. თუ უმცროსი ან უცოლო კაცი მოკვდეს, ან მეუღლენი მათნი რაც შეეძლოს, საწირავი მიართონ, ერთი წასახურავი ლვდელს, ერთს დღეს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. სოფლის კაცს ერთს დღეს მასპინძლობა, დრამა პინა ერთი, ქვრი ლიტრა ერთი, მსახური ან მოხელე თუ მოკვდეს საწირავი და ცხენი შეკაზმული, აგრევე მათის მეუღლის საწირავი რაც შეეძლოს საკანონო რაც ზემოთ დაგვეწეროს [2])

მაზას ოსიტაშვილები თუ მოკვდენ ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი ცხენი შეკაზმული ორი საწირავი ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. აგრეთვე მათის ცოლების საწირავი, ნიშანი, ტყავი, ან ტ[illegible]ლომა, კაბა სარტყელი, ლილი, ბეჭედი, [illegible] წილკნელს მიართონ. თუ უმცროსი [illegible]ოს ან უცოლო ერთი წასახურავი და ერ[illegible]ვი წილკნელისა. ხუცესს ერთს დღეს ჩაყენება ხ[illegible]რი და ცხვარი, სოფელს ერთს მასპინძლობა, კომლზედ დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი მსახური თუ მოკვდეს ცხენი შეკაზმული და ან [4]) მოხელე კაცი საწირავად ცხენი შეკაზმული იმათ მეუღლისა ერთი საწირავი, რაც შეეძლოს. საკანონო რაც ზევით დაგვიწერია.

სამაბუროს მაბურიშვილის სახლის უფროსნი კაცნი თუ მოკვდენ ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი, ცხენი შეკაზმული, ორი წასახურავი ერთი წილკნელისა, ერთი თავისი. სუფრის იარალი, და თასი. აგრეთვე მათის მეუღლისა საწირავი ნიშანი ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ბეჭედი, თავსახურავი მთლად ორი წასახური. ესენი წილკნელს უნდა მიართონ. თუ უმცროსი კაცი, ან უცოლო მოკვდეს ან მეუღლენი მათნი, რაც შეეძლოს საწირავი და ერთი წასახურავი წილკნელს მიართონ. ხუცესს ერთს დღეს ჩაყენება ხარი და ცხვარი, სოფელს ერთს დღეს ჩაყენება კომლზედ დრამა პინა ერთი ქერი ლიტრა ერთი. მსახური თუ სოფლის მოხელე კაცი თუ მოკვდეს საწირავი — ცხენი შეკაზმული. აგრეთვე მათის მეუღლისა რაც შეეძლოს [5]) საწირავი მიართონ. საკანონო ზევით რაც დაგვეწეროს ისე გამოართვით.

ბზარაძეს ლვდელს ერთს დღეს ჩაყენება ხარი ცხვარი. სოფელს ერთს დღეს მასპინძლობა საკომლოზედ დრამა პინა ერთი, ქერი ლიტრა ერთი, მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს საწირავიც — ცხენი შეკაზმული აგრევე მსახურის ცოლის საწირავი რაც შეეძლოს. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით, გოლდაშვილის თუ სახლის უფროსი კაცნი თუ მოკვდეს ან მეუღლენი მათნი კაცზედ მთელი ნიშანი ცხენი შეკაზმული, ერთი წასახური, აგრევე მათის მეუღლის ტყავი, ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, თავსახური ერთი, წასახური წილკნელს მიართონ.

ბედოანის დეკანოზს ერთს დღეს ჩაყენება,

---

შენიშვნა. [1]) წილკნელისა ამ შემთხვევაში და ზემოთ ამგვარ ადგილას უნდა იკითხებოდეს წილკნელისას = წილკნელის არის. აქაც ჰაპლოგრაფია.

შენიშვნა. [2]) ალაგ-ალაგ გამქრალი მელანი ახლად არის კალმით შემოვლებული. თვით გუჯარი მეტად დაძველებულია და ამიტომ საჭიროებას მოითხოვნის მისი განახლება.

შენიშვნა. [3]) «თუ უმცროსი» გუჯარში იწერება ასე «თუმცროსი». აქაც ჰაპლოგრაფიაა. ორი ერთხმოვანი ასო ერთად მოქცეული ერთება თუ ერთით თავდება სიტყვა და მეორეთი იწყება სხვა სიტყვა (თუ უმცროსი = თუმცროსი).

[4]) «და ან» იწერება გუჯარში «დან». ჰაპლოგრაფიაა: ორი «ა» ერთად მოქცეული. „ა“ და ზემოთ მოყვანილი «უ» გრძლად გამოითქმის.

[5]) «შეეძლოს» გუჯარში იწერება «შეძლოს». აქაც ჰაპლოგრაფიაა: ორი «ე» იწერება ერთ „ე“-დ, რომელიც გამოითქმის გრძლად.

ხარი და ცხვარი ამიტომ აძევს სახუცო საყდრის შემოსავალი, ყმაც ჰყავს იმისი დრამა არ ძევს. თვით ძღვენი და საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით, აგრეთვე სხვათა ღვდელთა.

არაგვის პირს ღვდელს ერთს დღეს ჩაყენება, სახუცო კარგი ხარი და ცხვარი. სოფელს ერთს დღეს ჩაყენება, დრამა კომლზედ პინა ერთი, პური, ქერი ლიტრა ერთი. მსახური ან სოფლის მოხელე თუ მოკვდეს კარგი საწირავი და ცხენი შეკაზმული. აგრევე მათს მეუღლეთა რაც შეეძლოს საწირავი. საკანონო რაც ზევით დაგვეწეროს ისე გამოართვით.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

30 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიაში მწირველი ბრძანდებოდა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი. წირვის გათავების შემდეგ გამართულ იქმნა წლიური აქტი. აქტზე დაესწრენ: თანაშემწე მთავარმმართებლისა გრაფი ი. დ. ტატიშჩევი, მთავარმმართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი დ. ს. ს. ი. ვ. მიცკევიჩი, გენერალი თ. ი. გ. ამილახვარი, და სხვა საპატიო პირნი.

იმ მოკლე ანგარიშისაგან, რომელიც წაიკითხეს აქტზედ. სჩანს, რომ ამ წელში მოსწავლეთა რიცხვი სემინარიაში ყოფილა 450.

პირველ კლასის ორს განყოფილებაში ყოფილა 108 კაცი, მეორე კლასის ორს განყოფილებაში—109 კაცი, მესამე კლასის ორს განყოფილებაში—75 კაცი, მეოთხე კლასის ორს განყოფილებაში—62 კაცი, მეხუთე კლასში—58 კაცი, მეექვსეში 38 კაცი.

ამათში სასულიერო წოდებისა ყოფილა 368 მოსწავლე და 82 საერო წოდებისა. წლის განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზთა გამო გამოსულა სემინარიიდამ 37 მოსწავლე. 39 მოსწავლეს მიუღია საჩუქარი. ამ 450 მოწაფეში რუსია 34 კაცი, იმერლები 157, ქართლ-კახელები 138, გურულები 70, მეგრელები 40, ბერძნები 14, ოსები 3 და 9 მოსწავლე არის კავკასიის სხვა თემთაგან.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მ. რექტორმა გააცნო დამსწრენი, თუ რა საშუალება აქვს ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებულს ძმობას, რომელიც დაარსებულ იქმნა მისი მაღალ ყოვ. უსამღვდელოესობის საქართველოს ყოფილი ექსარხოსის იოანნიკესაგან. ძმობას შემოუდის ფულები წევრთაგან. უმეტესი შეწირულება შემოუდის ხსენებულს ძმობას მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალლადისაგან და «კავკასიაში მართლ მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისაგან».

*
* *

1888 წელში ქართლის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებმა დაადგინეს, რომ თბილისის სემინარიაში მოსწავლეთ ერის კაცთაგან გადახდომოდა სწავლის უფლებისათვის თითოს 40 მან. წელიწადში. დღეს, როგორც რუსულ გაზეთებში ვკითხულობთ, უმაღლესად ნაბრძანებია, რომ სასულიერო სემინარიაში სხვა წოდების მოსწავლეთ სწავლის უფლებისათვის გადახდეთ წელიწადში 40 მ. კაცის თავზე.

*
* *

გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სოფლის გაჯეთის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის კრებულისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად.

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში შემწირველთა სია, რომელთაც ჩვენდამო რწმუნებულ ეკკლესიას შემოსწირეს სხვა და სხვა საეკკლესიო ნივთები: ისლამ მოსეს ძემ ალასანიამ შემოსწირა ტრაპეზის წინ დასაგები ნოხი, ღირებული 12 მ., დავით ჩემიამ—სამირონე კოლოფი თავის მოწყობილობით, ღირებული 3 მ. 50 კ., და იესე როსტომის ძემ წურქავამ—პურის საკურთხი ლანგარი, ღირებული ხუთ მანეთად.

*
* *

სოფლის ნაგარევის მთავარ-ანგელოსის ეკკლესიის კრებული გულითადს მადლობას სწირავენ ამავე სოფლის გლეხთ ბასილა ფირანის ძეს ხუცისშვილს და ივანე ლევანის ძეს ზაქარიაშვილს, რომელთაც ზემო აღნიშნული ეკკლესიისათვის შეუწირავსთ პირველს შანდალი, ღირ. 11 მან., ხოლო მეორეს—2 ბაირაღი, ღირებულნი 30 მ.,

## რედაქციის პასუხი.

---

**მღვ. მ. ბ. ზედგინიძეს.** თქვენგან გამოგზავნილი ცნობა და შესხმა სამრევლო სკოლის გახსნაზედ, სამწუხაროდ ძლიერ დაგვიანებული იყო და ამიტომ არ დაიბეჭდნენ.

**ქიზიყელ შინაურს.** თქვენი წერილი, სავსე თქვენის თანაგრძნობითა, მივიღეთ. ჩვენგან პირველად გამოთქმულს სიტყვებს მტკიცედ ვადგევართ და ვასრულებთ, სანამ ცოცხალი ვიქნებით. ოცი მანეთი, „ივერი"-ის რედაქციისაგან გამოგზავნილი, ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის სახელზედ, ჩვენ მივიღეთ, მაგრამ არ ვიცით, ეს ოცი მანეთი თქვენგან წარმოგზავნილია «ივერიი»-ს რედაქციაში თუ არა.

---


წელიწადი IV სამეურნეო გაზეთი წელიწადი IV

# „მეურნე"

## გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი ,,მეურნე'' მომავალ 1891 წ. გამოიცემა იმავე პროგრამმით და სივრცით, როგორც ამ 1890 წ.

### ფასი გაზეთისა:

| თბილისში | | თბილისს გარეშე | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . | 5 მან. — | 1 წლისა . . | 5 მან. — |
| ½ — . . | 3 — | ½ — . . | 3 — |

ცალკე №—15 კ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კ. პირველ გვერდზედ. გაზეთის დაკვეთა შეიძლება: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

---

### საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია"

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

### ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . | 9 ,,50» | 5 ,, . . . | 5 ,,25» |
| 10 ,, . . | 8 ,,75» | 4 ,, . . . | 4 ,,75» |
| 9 ,, . . | 8 ,,—» | 3 ,, . . . | 3 ,,50» |
| 8 ,, . . | 7 ,,25» | 2 ,, . . . | 2 ,,75» |
| 7 ,, . . | 6 ,,50» | 1 ,, . . . | 1 ,,50» |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ Редакцiю газеты ,,ИВЕРIЯ''*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოეჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვარის მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდამ 3 საათამდე და საღამოობით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინის კისეულსსახლებში, № 21.

(3—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს**

## „მწყემსზედ“

**და**

**რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ**

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის ასრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით | «მწყემსი» 3 მ. |
| — ,, | ორივე გამოცემა 6 » | — ,, | ორივე გამოცემა 4 » |
| — ,, | რუსული ,, 3 მ. | — ,, | რუსული ,, 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

---

**მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

## „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დამატებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თბილისში** — «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. 8).

2) **ქუთაისში**—მკ. ნიკოლაძისას.

3) **გორში**—მკ. ფურცელაძისას.

**პოსტის ადრესი:** *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

**შინაარსი:** უნებლიეთი ანგარიში.—ახალი ეკკლესიების კურთხევა შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში.—ხასიათის მნიშვნელობა კაცის ცხოვრებაში.—პასუხი ბ. ილიას ხონელს.—საბიბლიოგრაფიო შენიშვნა.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—პასუხი ქართული ხმების მოყვარეს.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—რედაქციის პასუხი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ,* 18 *Декабря 1890 г.*
Типографія редакціи (Н. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хапановыхъ на Нѣмецкой ул.